ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

14 თებერვალი, 2020

პარასკევი, №1 (2238)

სიახლეები პირველი ქართული უნივერსიტეტის ძველი და უახლესი ისტორიიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაფუძნებიდან 102-ე წელი აღნიშნა. 8 თებერვალს გამართულ საზეიმო მიღებაზე წიგნი-ალბომის — „უნივერსიტეტი — „UNIVERSITAS“ — პრეზენტაცია გაიმართა. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა და თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უმაღლესი განათლების განვითარებისთვის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს.

- გამოიცა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის წიგნი-ალბომის — „უნივერსიტეტი - UNIVERSITAS“ — განახლებული ვერსია...
- 2020 წელი იქნება საუნივერსიტეტო დაფინანსების ახალ საბაზო მოდელზე გადასვლის წელი...
- მიმდინარე პროექტები და ახალი გეგმები მიმართული იქნება საუნივერსიტეტო სივრცეში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად...

გვ. 2

რა გეგმები და ხედვები აქვს ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა საღინაძე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ ესაუბრა

ლაშა საღინაძე — დაიბადა 1986 წლის 22 იანვარს. 2010 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 2008 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 2017 წლიდან 2019 წლამდე გახლდათ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე. 2019 წლის 26 დეკემბრიდან კი გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

- წელს შრომის ანაზღაურების გაზრდა იგეგმება
- მომავალი წლისთვის სენატს პროგრამულ ბიუჯეტს წარუდგენენ
- როგორ ანაზღაურდება დეკრეტული შვებულება
- მალე ახალი შინაგანაწესი ამოქმედდება
- ინფრასტრუქტურული პროექტები და ახალი გეგმა
- იგეგმება შედეგზე ორიენტირებული და ნაკლები ბიუროკრატიის მქონე სტრუქტურის შექმნა
- გეგმაშია საგამოცდო პროცესის სრული კომპიუტერიზაცია და სასწავლო ბაზის სრულყოფა
- თსუ-ს ახალი ვებ-გვერდი ექნება
- ცვლილებები სტუდენტური პროექტების წარმოდგენისთვის
- თანამშრომელთა წახალისების პერსპექტივები
- კორპორატიული კულტურა ასამაღლებელია

გვ. 3

ნომერში

- თსუ-ის რექტორის განცხადება — გვ. 12
- თსუ-ის პროფესორი პრემია „საბა“-ს გამარჯვებულია — გვ. 12
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას ნოდარ ხადურის სახელი მიენიჭა — გვ. 12

- საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების წევრი გახდა — გვ. 4
- სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — გვ. 6
- VIII სამეცნიერო კონფერენცია, გამარჯვებული სტუდენტები და დეკანის პრიზი — გვ. 7
- ოსური ზღაპრების ახალი თარგმანები — გვ. 7
- ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში — გვ. 11
- ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი – თენგიზ სანაძე — გვ. 15

ქრონიკა

8-9 მოკლედ

ივანე ბერიტაშვილი – 135

- ჟურნალისტური და აკადემიური მიდგომებით მიკვლეული სიახლეები ივანე ბერიტაშვილზე

გვ. 10

თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ მეცნიერებზე პუბლიცისტური ნარკვევების სერიის გამოცემას განაგრძობს. ამჯერად, გაზეთის რედაქტორის ნინო კაკულიასა და პროფესორ მერაბ ცაგარელის ავტორობით ივანე ბერიტაშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პუბლიცისტური ნარკვევი გამოიცა. „უცნობი ისტორიები ცნობილ მეცნიერზე/ივანე ბერიტაშვილი — კიდევ ერთი ცდა“ — ასე ჰქვია ახალ წიგნს, სადაც მკითხველი ჟურნალისტისა და პროფესორის თვალით დანახულ დიდი მეცნიერის „პროფილს“ გაეცნობა.

- ტრადიციული სხდომა უნივერსიტეტში – „ბერიტაშვილის კითხვანი“

გვ. 11

- I სტუდენტური-სამეცნიერო კონფერენცია ნეირომეცნიერებებში

გვ. 11

სიახლეები პირველი ქართული უნივერსიტეტის ძველი და უახლესი ისტორიიდან

თსუ-102

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაფუძნებიდან 102-ე წელი აღნიშნა. 8 თებერვალს გამართულ საზეიმო მიღებაზე წიგნი-ალბომის — „უნივერსიტეტი — „UNIVERSITAS“ — პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში მოთხრობილია უნივერსიტეტის დაარსების, მისი პირველი პედაგოგების, სამეცნიერო სკოლების, ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. განახლებულ გამოცემაში გამოყენებული დოკუმენტები და ფოტო-მასალა დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და სხვადასხვა კერძო კოლექციაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ქმნიდა იმ სივრცეს, რომელსაც ერქვა სამეცნიერო სივრცე, თავისუფლების სივრცე და დღემდე ამ ფუქნციას ასრულებს. ყველაზე მეტად აღსანიშნავი და საამაყო ის არის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი. წიგნი-ალბომი — „უნივერსიტეტი — UNIVERSITAS“ საინტერესოა მკითხველისთვის, რადგან მასში კარგად არის წარმოჩენილი უნივერსიტეტის ისტორიული დანიშნულება, დღევანდელი მნიშვნელობა და მინიშნებულია სამომავალო განვითარების მიმართულებებიც“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„შევსებული გამოცემა ორი ნაწილისგან შედგება. ერთი არის ისტორიის მიმოხილვა, რომელშიც საუბარია მის დამფუძნებლებზე, მეორე ნაწილი კი ეხება უნივერსიტეტის დღევანდელობას, სადაც მოთხრობილია მისი წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე, სტუდენტური ცხოვრების შესახებ. ძველი თავებიც, სადაც საუბარია სამეცნიერო სკოლებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე, გამდიდრებულია ახალი ფაქტებით. განსაკუთრებით ბევრი სიახლეა მოცემული თანამედროვეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უნივერსიტეტში მოვლენები უსწრაფესად ვითარდება, შევეცადე უმთავრესი ასპექტები სრულფასოვნად გადმოგვეცა. წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილია ერთი პატარა თავი, სადაც ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში უნივერსიტეტის სტუდენტების როლზეა საუბარი“, — აღნიშნა წიგნის ავტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 102 წლის იუბილეს საუნივერსიტეტო საზოგადოების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, სტუდენტები და პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლების შთამომავლები ესწრებოდნენ.

■ ახალი გეგმები საუნივერსიტეტო სივრცეში

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა და თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უმაღლესი განათლების განვითარებისთვის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს. ნუნუ მიცკევიჩის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხარდაჭერა გაგრძელდება და აკადემიური კორპუსების გარდა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობების რეაბილიტაციაც დაიწყება.

„დღეს საქართველოში ევროპული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების დღეა. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ასწლოვანი ჩანაწერი უკვე გააკეთა საქართველოს ისტორიაში და ღირსეული სიტყვა თქვა უმაღლესი განათლების სისტემაში. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს უნივერსიტეტმა ღირსეულად შეაბიჯა ევროპის საუნივერსიტეტო ასოციაციის სივრცეში და რამდენიმე დღის წინ უმასპინძლა სადოქტორო პროგრამების განვითარების შეხვედრას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკუნოვანმა ისტორიამ აჩვენა, რომ ის არის მდგრადად განვითარებადი, რეფორმებისთვის მზად მყოფი უმაღლესი სასწავლებელი, ამიტომ გადავწყვიტეთ — სწორედ აქ გაგვეუღერებინა, რომ 2020 წელი იქნება საუნივერსიტეტო დაფინანსების ახალ საბაზო მოდელზე გადასვლის წელი. ცვლილებები ყველა უნივერსიტეტის

> თსუ-ში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხარდაჭერა გაგრძელდება და აკადემიური კორპუსების გარდა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობების რეაბილიტაციაც დაიწყება.

■ გამოიცა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის წიგნი-ალბომის — „უნივერსიტეტი - UNIVERSITAS“ — განახლებული ვერსია...

■ 2020 წელი იქნება საუნივერსიტეტო დაფინანსების ახალ საბაზო მოდელზე გადასვლის წელი...

■ მიმდინარე პროექტები და ახალი გეგმები მიმართული იქნება საუნივერსიტეტო სივრცეში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად...

თარხუჯ ჯავახიშვილი

ნუნუ მიცკევიჩი

რექტორთან ერთად განიხილება. საბოლოოდ უნდა შევთანხმდეთ მოდელზე, რომელიც ევროპული სტდანდარტების შესაბამისად გამართავს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემას“, — აღნიშნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება საქართველოს ისტორიაში იყო სტრატეგიულად ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, რამაც ქართული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად მტკიცე ფუნდამენტი შექმნა. ჩვენ ვამაყობთ საუკუნოვანი ტრადიციით; ვამაყობთ, რომ უკვე 4 წელია თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია კავკასიიდან, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო პრესტიჟულ რანჟირებებში ჩანს და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აბიტურიენტების საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო, უშუალოდ თსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი 45%-ით გაიზარდა; უნივერსიტეტის ბიუჯეტმა პირველად გადააჭარბა 1 000 000 000 ლარს. ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობთ უნივერსიტეტის განვითარებაზე. წამოწყებულია საკმაოდ დიდი პროექტები, რემონტდება თსუ-ის კორპუსი, დაგეგმილია ე.წ. მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ევროპული სტანდარტების 3 000 ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის აშენება. საუნივერსიტეტო დაფინანსების მოდელის ძირეული ცვლილების პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთვება და უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი ლანდშაფტის შექმნის პროცესშიც მოწინავე იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

102 წლის იუბილე უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილმაც მიულოცა: „მე, როგორც რიგითი ქართველი, ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს დედა უნივერსიტეტის ფუნქცია და პირველთა შორის ერთ-ერთი ღირსეულის როლი“, — აღნიშნა თარხუჯ ჯავახიშვილმა.

102 წლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 2019 წლის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით (The U.S.News&World Report) მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის, ყოველწლიურად 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება და 22 ათასამდე სტუდენტი, მათ შორის, 900-მდე უცხოელი სწავლობს.

ანონსი

ჟურნალის – „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“ – გამოცემისთვის ნაშრომების მიღება დაიწყო

ნატო ობოლაძე

თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრმა ჟურნალის - „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“ — პირველი ნომრისთვის ნაშრომების მიღება დაიწყო. ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი 2019 წლის 29 ნოემბერს დაფუძნდა. პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას საადვოკატო ბიურო „OK & CG“ (ოთარ კაჭკაჭაშვილი და კონსულტანტთა ჯგუფი) უწევს. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი ჟურნალის დაფუძნების ღონისძიებაზე მოაწერეს.

„თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის დაფუძნების დღიდანვე დავგეგმეთ ისეთი სპეციალიზებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემა, რომელიც შრომის სამართალზე სამეცნიერო მსჯელობის ფორუმს შექმნის. საქართველოში შრომის სამართლის რეფორმა მიმდინარე პროცესშია და იმედი გვაქვს, რომ სამეცნიერო თუ პრაქტიკულ დონეზე მის განვითარებას ხელს შევუწყობთ“, — განაცხადა თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის დირექტორმა და დამფუძნებელმა წევრმა გიორგი ამირანაშვილმა.

„ამ ჟურნალის მთავარი დანიშნულებაა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების განხილვა, რაც საქართველოში საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ კვალიფიციურ სპეციალისტებს პროდუქტიული იდეების რეალიზებაში“, — აღნიშნა საადვოკატო ბიურო „OK & CG“

წარმომადგენელმა დავით მუმლაძემ.

თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრი 2016 წელს დაფუძნდა. ცენტრის ფარგლებში სამეცნიერო საქმიანობას, ქართველ იურისტებთან ერთად, უცხოელი სამართალმცოდნეებიც ახორციელებენ. ჟურნალის („თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“) დაფუძნების ღონისძიებას შრომის სამართლის სფეროში მოღვაწე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, მოსამართლეები, პრაქტიკოსი იურისტები, აკადემიური წრის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. თსუ-ის ვიცე-რექტორის ნინო გვენეტაძის შეფასებით, „ახალი პერიოდული გამოცემა არა მარტო სტუდენტებისა და შრომის სამართლის სფეროში მოღვაწე იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი დასაქმებული ადამიანისთვის იქნება საინტერესო“.

თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის პირველი ნომრისთვის ნაშრომებს მიმდინარე წლის 28 თებერვლამდე მიიღებს.

რა გეგმები და ხედვები აქვს ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს?

გვესაუბრება თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა საღინაძე

ნინო ჯაჯულია

2019 წლის 26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე თითქმის ერთხმად ლაშა საღინაძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი (საბჭოს 61 წევრიდან 56-მა ხმა მისცა, 2 იყო წინააღმდეგი, 3 ბიულეტენი გაბათილდა). არჩევამდე კანდიდატმა საბჭოს გააცნო სამუშაო კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2018 წელს დამტკიცებულ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას ეყრდნობოდა.

ახლად არჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელსაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩაბარების დღიდან უნივერსიტეტი შემდგომაც თითქმის არ დაუტოვებია, ახალი ხედვები და მიდგომები აქვს უნივერსიტეტის განვითარების კუთხით. ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ბიუროკრატიული ბარიერების „დამარცხება“, კორპორატიული კულტურის ამაღლება, ღირსეული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისება/მოტივირება და სხვა ინიციატივები ახალი ხელმძღვანელის გეგმებშია, რომელიც თსუ-ის რექტორისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების მხარდაჭერით აპირებს იმ სიმაღლეების დაპყრობას, რასაც უნივერსიტეტი იმსახურებს. არ ივიწყებს მისი წარსულის სიძლიერეს და ფიქრობს — უნივერსიტეტის, როგორც ბრენდის, პოტენციალი შეძლებისდაგვარად გამოიყენოს ფინანსების მოსაზიდად, რასაც კეთილ ინიციატივებს მოახმარს.

თავის ხედვებსა და მიზნებზე ლაშა საღინაძე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ ესაუბრა.

წელს შრომის ანაზღაურების გაზრდა იგეგმება

როგორც იცით, 2019 წლის 26 დეკემბრიდან ვასრულებ ადმინისტრაციის ხელძღვანელის მოვალეობებს უნივერსიტეტში. პირველ რიგში, დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ჩემს წინამორბედს, ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას იმ ღვაწლისთვის, რაც მან უნივერსიტეტის და ჩემს წინაშე გასწია; მადლობა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს და ბატონ რექტორს მხარდაჭერისთვის. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარში დამიდგა.

რაც შეეხება სტრატეგიას, რითაც წარვსდექი საბჭოების წინაშე და რის განხორციელებასაც ვაპირებ, მოგახსენებთ: პირველ რიგში, გავაანალიზეთ ის სუსტი მხარეები, რაც უნივერსიტეტში დღეს გვაქვს — ეს არის არასაკმარისი ფინანსები და, აქედან გამომდინარე, გამოწვევაა არსებული ფინანსების მაქსიმალურად ეფექტური მართვა; სახეზეა, ასევე, მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარკვეული ბიუროკრატიული პროცესები უნივერსიტეტში... სუსტი მხარეების გააზრების შემდეგ გარკვეული სამოქმედო გეგმა განისაზღვრა. სამოქმედო გეგმის პირველი ნაწილი გახლავთ სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, რაც ითვალისწინებს მიმდინარე წლის 1 მარტიდან აკადემიური პერსონალისთვის შრომის ანაზღაურების ზრდას. ასევე, 1 მარტიდან უზრუნველვყოფთ იმ გარკვეული ტექნიკური პერსონალის სარგოს ზრდასაც, რომლის ანაზღაურებაც ძალზედ მცირეა, ხოლო დანარჩენ ადმინისტრაციულ ტექნიკურ პერსონალს 1 სექტემბრიდან გაეზრდება ანაზღაურება — ეს არის მაქსიმუმი, რაც შეგვეძლო მიმდინარე წლისთვის დაგვეგეგმა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა ანაზღაურების მოწესრიგების მიზნითაც აქტიურად ვითანამშრომლებთ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. თუ წამოგვეწევა სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ფინანსები ან შიდა რესურსებით თუ შევძლებთ დამატებითი ფინანსების მობილიზებას, სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესს წელსაც გადავხედავთ და მომავალი წლიდანაც გავაგრძელებთ სიახლეებს ამ მიმართულებით, გამომდინარე იქიდან, რომ შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების შენარჩუნება საკმაოდ რთულია; ამიტომ, ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

მომავალი წლისთვის სენატს პროგრამულ ბიუჯეტს წარუდგენენ

იმისთვის, რომ ფინანსები სწორად და გამჭვირვალედ ვმართოთ, აუცილებელია შესაბამისი პროგრამული ბიუჯეტის ქონა და მომავალი წლისთვის სწორედ პროგრამულ ბიუჯეტს წარვადგენთ სენატში დასამტკიცებლად. ეს გულისხმობს დოკუმენტში პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის და მათი განხორციელების გზების ნათლად გაწერას შესაბამისი ბიუჯეტის დართვით. ეს პროცესი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა დაინახოს — თუ რა მიმართულებით იხარჯება ფინანსები უნივერსიტეტში. ასევე, ვფიქრობთ, ინდიკატორებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შედგენის წესზეც, რაც გულისხმობს გარკვეულ ინდიკატორებზე აწყობილ მექანიზმს. ფაკულტეტებს ბიუჯეტებს სწორედ ამის მიხედვით განვუსაზღვრავთ. ეს ინდიკატორები შეიძლება იყოს აკადემიური, სამეცნიერო, ინტერნაციონალიზაციის, ადმინისტრაციული და ა.შ., რასაც მიმდინარე წლის ფარგლებში განვსაზღვრავთ და შევთავაზებთ ფაკულტეტებსა და სტრუქტურებს.

იმისათვის, რომ მეტი ფინანსები მოვიზიდოთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია პროცესების კომერციალიზაცია. ჩვენ გვაქვს დიდი პოტენციალი მეტი ფინანსების მოსაზიდად, თუნდაც, უნივერსიტეტის სახელიდან გამომდინარე და მისი, როგორც ბრენდის, გამოყენების თვალსაზრისით. ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ასევე, იცით, რომ 2018 წელს, იუბილეს ფარგლებში, დაფუძნდა უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელიც თავდაპირველად კარგად მუშაობდა, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მხარდაჭერა დაიკლდა. მიმდინარე პერიოდიდან ჩვენ გავაძლიერებთ მარკეტინგულ კამპანიას და ვიმედოვნებთ, რომ ის წყარო, რაც თსუ-ს ჰყავს კურსდამთავრებულთა სახით (თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტს 300 ათასზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს), ფინანსების მოზიდვის კუთხით, გარკვეულწილად, დაგვეხმარება.

როგორ ანაზღაურდება დეკრეტული შვებულება

შეიძლება ვინმესთვის ცოტა ტექნიკური საკითხი იყოს, მაგრამ ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად უნივერსიტეტში (და სხვა დაწესებულებებშიც) განიხილება დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი. ზოგადად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (მათ, ვისზეც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება) არ აქვთ ვალდებულება — დეკრეტული შვებულების ანაზღაურება გასცენ, გარდა იმ 1000 ლარისა, რასაც ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სააგენტო გასცემს. ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით, ჩვენ სხვა სტრატეგია შევიმუშავეთ — პირველ ეტაპზე, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, ვინც მოისურვებს დეკრეტული შვებულების აღებას, მას ხელფასის სამმაგი ოდენობით უზრუნველვყოფთ, ხოლო მომავალი წლიდან — ხელფასის ექვსმაგი ოდენობით. აქამდე უნივერსიტეტში დეკრეტული შვებულების ანაზღაურება არ ხდებოდა.

ინფრასტრუქტურული პროექტები და ახალი გეგმა

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ქონების მოვლის მიმართულებით ბევრი რამ განსახორციელებელი გვაქვს. გარკვეული ტექნიკური და ბიუროკრატიული მიზეზების გამო უნივერსიტეტში, ათეულობით წლის განმავლობაში, დაგროვდა ჩამოწერილი ინვენტარი, ჯართი თუ მაკულატურა. ჩვენ შევძელით 85 ტონამდე ჯართი გაგვეტანა და პირობა დავდე, რომ 2021 წლის ბოლომდე უნივერსიტეტის სივრცეები მთლიანად იქნება გათავისუფლებული ამ დრომდე დაგროვებული მაკულატურისგან, ჯართისგან თუ სხვა ჩამოწერილი ინვენტარისგან. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ აღნიშნული სივრცეები გამოვიყენოთ სხვა დანიშნულებისთვის, როგორიც არის სააუდიტორიო და კვლევითი სივრცის მოწყობა.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით კი გამოვყოფ მეორე კორპუსის რეაბილიტაციის პროექტს. პირველ ეტაპზე 5.7 მილიონ ლარამდე უკვე დაიხარჯა. მეორე ეტაპზე ტენდერით შერჩეულია ახალი კომპანია. დაწყებულია სამუშაოები. საერთო ჯამში, დამატებით, 21.3 მილიონი ლარი დაიხარჯება და ეს კორპუსი, სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულების თვალსაზრისით, ალბათ, იქნება ყველაზე თანამედროვე ინფრასტრუქტურის საქართველოში (და არა მარტო). რა თქმა უნდა, ის ისტორიული სიძველეები, რაც ამ შენობას აქვს მისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიდან გამომდინარე, შენარჩუნებული იქნება.

რაც შეეხება მე-10-ე (მაღლივი) კორპუსის რეაბილიტაციის გეგმას, მაღლივში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სამი სართულის რეაბილიტაცია ხორციელდება და ამ კორპუსის სრულად რეაბილიტაციას ეტაპობრივად უზრუნველვყოფთ. მაღლივ კორპუსში ჩვენ უკვე უზრუნველვყავით სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და ფოიეს მოწესრიგება. ასევე, მიმდინარე წელს, ბიოლოგების კორპუსში დამონტაჟდება ლიფტები, რომელიც ამ შენობას საერთოდ არ გააჩნდა. შესაბამისად, შშმ პირებს ექნებათ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

იგეგმება თსუ-ის სხვა კორპუსების რეაბილიტაციაც, რის შესახებაც მოგვიანებით დავკონკრეტდებით.

თსუ ფლობს დიდი რაოდენობის ქონებას როგორც მიწის სახით, ასევე, შენობების სახით. ამ სივრციდან გარკვეული ნაწილი არის გამოუყენებელი. ჩვენ ვფიქრობთ გარკვეული ქონების პრივატიზებას სახელმწიფოსთან შეთანხმებით და ვიმედოვნებთ, რომ ამ პრივატიზებიდან შემოსული სახსრებით ახალ სასწავლო თუ სამეცნიერო დანიშნულების ინფრასტრუქტურას შევქმნით. პირველი თუ მეორე კორპუსების უკანა ტერიტორიაზე და, ასევე, მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ვგეგმავთ სივრცეების მოწყობას. ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე წელს ინვესტორი უკვე იქნება შერჩეული და მაღლივი კორპუსის მიმდებარედ 3000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის მიმართულებით დაიწყება სამუშაოები. საერთო საცხოვრებლის ოთახების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობის გარდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალგაზრდებისთვის მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, ბიბლიოთეკები, კაფეები თუ სხვა. ვეცდებით სახსრები გამოვნახოთ ბაგების საერთო საცხოვრებლისთვისაც ხელის შესავლებად. დიდი გეგმები გვაქვს და ვფიქრობთ, რომ ერთ-ორ წელიწადში ჩვენი ინფრასტრუქტურა იქნება ისეთი, როგორიც ეკადრება თსუ-ს.

იგეგმება შედეგზე ორიენტირებული და ნაკლები ბიუროკრატიის მქონე სტრუქტურის შექმნა

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესებს, გარკვეული ბიუროკრატიული პრობლემები მომდინარეობს საჯარო დაწესებულების შესაბამისი კანონმდებლობიდან. თუმცა, გარდა ამისა, არის პროცესები, რომელთა გამარტივებაც შესაძლებელია. ვფიქრობთ, რომ შევქმნით ახალ სტრუქტურას, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული და ნაკლები ბიუროკრატიის მქონე. განსაზღვრულია საკადრო პოლიტიკის რეგულირება — თანამშრომელთა აყვანა, ძირითადად, კონკურსის წესით განხორციელდება, რათა პროცესი იყოს გამჭვირვალე. თსუ-ში წლების განმავლობაში დაგროვილმა პრობლემამ კატასტროფული სახე მიიღო. 55/45-ზეა შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომლების პროპორცია, რაც არასწორია. შტატგარეშეების რაოდენობა უნდა

გვ. 5

თსუ-ის SMART|EDM ლაბორატორიის ახალი მიღწევა

მაია ტორაძე

2016 წელს ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში თსუ-ში დაარსდა პირველი სმარტ ლაბორატორია — SMART|EDM_lab, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2017 წლის იანვრიდან. ამ ტიპის ლაბორატორიების ძირითადი იდეა გახლავთ გერმანელ და ქართველ მეცნიერ-მკვლევართა შორის დამყარებული თანამშრომლობის უფრო მეტად გაფართოება და კვლევების პარალელიზაცია, ერთი მხრივ, გერმანიაში, მეორე მხრივ კი საქართველოში. ამ იდეის ფარგლებში საქართველოში იქმნება ქ. იულიხის კვლევით ცენტრში (გერმანია) უკვე არსებული ლაბორატორიების ანალოგიურად აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევების გარკვეული ნაწილის წარმოება. ამასთან, ლაბორატორიებს დამოუკიდებელი კვლევებისა და ურთიერთთანამშრომლობის განვითარების საშუალებაც აქვთ. ორი ასეთი ლაბორატორია — SMART|EDM_lab (ფიზიკის) და SMART|AtmoSim_lab (ქიმიის და მათემატიკური მოდელირების მიმართულებით) უკვე ფუნქციონირებს თსუ-ში.

SMART|EDM ლაბორატორიას დღეისათვის მჭიდრო ურთიერთობა აქვს იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტთან. ამ ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, რომელთა შორის ქართველი ფიზიკოსები — ანდრო კაჭარავა და ირაკლი ქეშელაშვილი არიან, აღნიშნული ლაბორატორია JEDI (Juelich Electric Dipole moment Investigations) საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში წარმოებულ კვლევებშია ჩართული. კონკრეტულად ამ ეტაპზე კოლაბორაცია მუშაობს ელექტრული დიპოლური მომენტების კვლევაზე, რომელიც იულიხის COSY ამაჩქარებელზე ერთ-ერთი გამორჩეული მეთოდიკით მიმდინარეობს. ამ სამუშაოების ერთი ნაწილი კეთდება იულიხში, მეორე ნაწილი კი — თბილისში. ბოლო პერიოდში SMART|EDM ლაბორატორიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, რის შესახებაც ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი დავით მჭედლიშვილი გვესაუბრა.

დავით მჭედლიშვილი:

— ჩვენი ჯგუფის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს ექსპერიმენტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის — პოლარიმეტრის აგება, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ექსპერიმენტის საბოლოო სიგნალის დაფიქსირება. პოლარიმეტრი მოიცავს სამიზნის ნაწილს, რომელზეც გაიბნევა სპეციალურ პირობებში მომზადებული ამაჩქარებლის დამუხტული ნაწილაკების ნაკადი და ასევე მოიცავს დეტექტორულ ნაწილს, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ გაბნეული ნაწილაკების დეტექტირება, რათა შემდგომ შევძლოთ გაბნევის პარამეტრების შესწავლა.

პოლარიმეტრის დეტექტორის შემადგენელი ფოტომგრძნობიარე ელემენტების (სილიციუმის ფოტოგამამრავლებლები) ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიაში შეიქმნა მაღალი ძაბვის მრავალარხიანი კვების წყარო, რომელიც, ექსპერიმენტის განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოირჩევა მაღალი სტაბილურობით და გააჩნია გარკვეული სპეციფიკური ფუნქციები. ეს კვების წყარო დაახლოებით ერთი წლის წინ აიგო და უკვე რამდენიმე ექსპერიმენტში წარმატებით გამოიცადა იულიხში.

ამავე ლაბორატორიაში ხდება პოლარიმეტრის დეტექტორიდან წამოსული მონაცემების შეგროვებისა და რეალურ დროში (სწრაფი) ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაც. უკვე არსებობს მუშა ვერსია, რომლის გამოყენებაც ხდება საცდელ ექსპერიმენტებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სწრაფი ანალიზის სიჩქარის ოპტიმიზაცია და, ასევე, პოლარიმეტრის დეტექტორის სრულყოფის პარალელურად სხვადასხვა ფუნქციების დამატება. ისეთი სამუშაოები, როგორიცაა მექანიკური აგება, ნელი კონტროლისა და უზრუნველყოფის გარკვეული სისტემების შექმნა, ხდება იულიხში. ხოლო მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, ასევე, კვების წყაროს და მისი კონტროლისა და მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და დახვეწა ხდება თსუ-ის SMART|EDM ლაბორატორიაში. შემდეგ ეს ყველაფერი იკრიბება და დგება საცდელი ექსპერიმენტები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობს ქართული ჯგუფის ყველა წევრი.

თავდაპირველად, პოლარიმეტრის საცდელი ექსპერიმენტები ტარდებოდა COSY ამაჩქარებლის გამოყვანილ ნაკადზე, ხოლო 2019 წელს მოხდა ჩვენი დეტექტორის ჩადგმა ამაჩქარებლის რგოლში და ოქტომბრის თვეში წარმატებით ჩააბარა „გამოცდა შიდა ნაკადზე დაყენებულ ექსპერიმენტში — რეალურ სტრესულ (მაგალითად, მაღალი ინტენსივობით გამოწვეული რადიაცია, თვლის ბევრად მაღალი სიჩქარე) პირობებში. ეს იყო პირველი სერიოზული გამოწვევა, რომელმაც საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა და ვთვლით, რომ ამ წარმატებაში ჩვენს ლაბორატორიას დიდი წვლილი მიუძღვის.



უნდა გითხრათ, რომ ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაოებში სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიტო შერგელაშვილი (თსუ-ის დოქტორანტი, რომელიც მალე დაიცავს სადოქტორო ნაშრომს) და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ოთარ ჯავახიშვილი (ლაბორატორიაში შეასრულა სამაგისტრო სამუშაო პოლარიმეტრის კვების წყაროზე და ახლა ასრულებს სადოქტორო სამუშაოს სამიზნის ნაწილზე იულიხში). ამავე საქმიანობაში არიან ჩართულნი თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები: მირიან ტაბიძე, ნოდარ ლომიძე, მიხეილ ნიორაძე და გოგი მაჭარაშვილი. სწორედ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში ხდება დეტექტორიდან შეგროვებული მონაცემების ე.წ. „ოფლაინ“ ანალიზი, რაც გულისხმობს ექსპერიმენტის ჩატარების შემდგომ ეტაპზე მონაცემების დეტალურ ანალიზს. მონაცემთა ანალიზის გარდა, ასევე, კეთდება მონტე კარლო სიმულაციები, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ნებისმიერი ახალი დეტექტორის შემუშავების პროცესში. სიმულაცია გვაძლევს საშუალებას, რომ აგებამდე მოვახერხოთ გარკვეული პარამეტრების შეფასება და დეტექტორის ოპტიმიზირება. ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს გოგი მაჭარაშვილი. ამავე თემატიკაზე აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტმა მარიამ აბულაძემ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი პროფ. ზაზა მეტრეველის თანახელმძღვანელობით.

ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევითი საქმიანობა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტებიდან, რომელშიც შედის თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და აგრარული უნივერსიტეტი. აღნიშნული კვლევების სხვადასხვა ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ უნივერსიტეტების სტუდენტები, ძირითადად სამაგისტრო საფეხურიდან. ისინი ლაბორატორიაში სხვადასხვა თემაზე მუშაობდნენ და მივლინებით იულიხშიც იმყოფებოდნენ საცდელ ექსპერიმენტებში მონაწილეობის მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ SMART ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევებს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს როგორც იულიხის კვლევითი ცენტრი, ასევე, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სპეციალური მიზნობრივი სამეცნიერო გრანტის „ელექტრული დიპოლური მომენტების ძიება დამაგროვებელი რგოლების გამოყენებით (04/01)“ ფარგლებში.

საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების წევრი გახდა

ნატო ობოლაძე

საქართველოს სტუდენტური ასოციაცია ევროპის სტუდენტთა გაერთიანების (ESU) ოფიციალური წევრი გახდა. ამ მნიშვნელოვანი პროცედურის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ინიციატორიც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა იყო. მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ქართველი სტუდენტები უკვე ჩაერთვნენ. ამ რეკომენდაციებს ევროპის სტუდენტთა გაერთიანება ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოებს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს უგზავნის. ამ დროისთვის საქართველოს სტუდენტთა ასოციაცია გლობალური დათბობის საკითხზე საკუთარ ხედვას აყალიბებს და ქვეყანაში გარემოს დაცვის თვალსაზრისით არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით დოკუმენტს ამზადებს ევროპის სტუდენტთა გაერთიანებაში გასაგზავნად. სამუშაო პროცესში სტუდენტები სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობენ.

„სამუშაო ჯგუფი 7 წევრისგან შედგება, მათი უმეტესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, რადგან გაწევრიანების პროცესში თსუ მოწინავე იყო და ჩვენ ყველა სამუშაო ეტაპზე თავიდანვე აქტიურად ვიყავით ჩართული. ამ სტუდენტებს არ აქვთ ენობრივი ბარიერი და აქვთ ცოდნა იმ მიმართულებებით, რაზეც ESU-სთან თანამშრომლობისას გვიწევს მუშაობა. გლობალური დათბობის საკითხებს ევროპის სტუდენტთა გაერთიანება უახლოეს მომავალში განიხილავს და, რა თქმა უნდა, მივაწვდით ჩვენს ხედვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ ჯავახიშვილმა.

ევროპის სტუდენტთა გაერთიანებამ საქართველოს გაწევრიანებას მხარი გასული წლის დეკემბრის დასაწყისში გამართულ ბორდის სხდომაზე ერთხმად დაუჭირა. ამჟამად, ESU-ს რეკომენდაციების მიხედვით საქართველოს სტუდენტთა ასოციაციის წესდების ცვლილება მიმდინარეობს. შენიშვნები ასოციაციის მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და ახალგაზრდულ პროექტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდას ითვალისწინებს. ESU-ს მონიტორინგის ჯგუფი გაერთიანების წევრი ქვეყნების სტუდენტურ ორგანიზაციებს, დაახლოებით, 2-3 წელიწადში ერთხელ ამოწმებს.

არჩილ ჯავახიშვილი

რა გეგმები და ხედვები აქვს ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს?

^ მე-3 გვ-დან

იყოს გაცილებით მცირე. შტატგარეშე თანამშრომელი კონკრეტულ თანამდებობაზე თავისი ამოცანის შესასრულებლად დროებით არის აყვანილი, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ეს ადამიანები წლების განმავლობაში ასრულებენ მუდმივ სამუშაოებს, რაც უკვე რეალობას სცილდება, რადგან, თავისი არსით, ასეთი თანამშრომლები შტატში უნდა იყვნენ. 2021 წლიდან ჩვენ უზრუნველვყოფთ შტატგარეშეთა ნაწილის შტატში გადაყვანას. მომავალი წლის ახალ ბიუჯეტში ეს პროცესი გათვალისწინებული იქნება. პირველ ეტაპზე, ახალი სტუქტურის ფორმირებისას, მინდა, შემოვიტანოთ გარკვეული თანამდებობები სპეციალისტების დონეზე. ამჟამად ჩვენთან ორი ძირითადი თანამდებობაა — ეს არის „მთავარი სპეციალისტი“ და „უფროსი სპეციალისტი“. ახალი სტრუქტურის პირობებში კი დეპარტამენტის და განყოფილების ქვემოთ გვეყოლება რამდენიმე რანგის თანამშრომელი — ეს არის „მთავარი სპეციალისტი“, შემოვიღებთ „წამყვანი სპეციალისტის“ თანამდებობას, გვეყოლება „უფროსი სპეციალისტი“ და გვეყოლება „სპეციალისტი“. აღნიშნული კატეგორიები სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით განისაზღვრება. ვფიქრობ, რომ რამდენიმე საფეხურიანი რანგირება ძალიან მნიშვნელოვანია და მოტივაციის ამაღლებასაც ხელს შეუწყობს.

ბიუროკრატიულ პრობლემებს იწვევს, ასევე, ზედმეტად ცენტრალიზებული სტრუქტურის არსებობა უნივერსიტეტში, რადგან თითქმის ყველა გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ცენტრალურად ხდება, რაც პროცესებს ართულებს და ახანგრძლივებს. ამიტომ, უახლოეს პერიოდში ჩვენ შევქმნით დოკუმენტს, რომელიც პასუხისმგებლობებს გადაანაწილებს სტრუქტურების მიხედვით და გარკვეული დელეგირება მოხდება. არ არის აუცილებელი, ყველა დოკუმენტს მხოლოდ ხელმძღვანელი აწერდეს ხელს. ასეთი მიდგომა პროცესებს საკმაოდ მოქნილს და მობილურს გახდის.

მალე ახალი შინაგანაწესი ამოქმედდება

ძალიან მალე უკვე მივიღებთ ახალ შინაგანაწესს, სადაც გათვალისწინებული იქნება ახალი თანამედროვე მოთხოვნები, რაც უნდა ჰქონდეს ამ ინსტიტუციას. მოქმედი შინაგანაწესი საკმაოდ მოძველებულია და ის ჩანაწერებიც, რაც მასშია, უკვე მოქმედ კანონმდებლობასთანაც არ მოდის შესაბამისობაში. ძალიან ტექნიკურ საკითხზე შეიძლება გადავიდეთ, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიც არის ე.წ. Day off-ები (დასვენების დღე), რაც, რეალურად, უნივერსიტეტში არ არის, შეიძლება შემოვიღოთ. ეს ინიციატივა გათვალისწინებულია იმისთვის, რომ თანამშრომელმა არა მარტო შვებულებით ისარგებლოს, არამედ აიღოს Day off, მაგალითად, ექიმთან კონსულტაციის საჭიროებისთვის ან სხვადასხვა პირადი პრობლემების მიზეზით ისე, რომ შვებულების დღეები არ გამოიყენოს. ასევე დარეგულირდება სამსახურში წასვლა-მოსვლის საკითხები. ამ მიმართულებით რიგ შემთხვევაში ძალიან მკაცრები ვართ, რიგ შემთხვევაში საკმაოდ ლმობიერები. ამიტომ ამ პროცესებს დავარეგულირებთ და ვიმედოვნებთ, რომ დისციპლინური სახის პრობლემები ახალი შინაგანაწესის მიღების შემდეგ აღარ იქნება. ახალ შინაგანაწესს (პროექტს), რომელიც უკვე შევიმუშავეთ, ყველა სტრუქტურას დავუგზავნით და მათი შენიშვნების გათვალისწინებით მივიღებთ საბოლოო დოკუმენტს.

გეგმაშია საგამოცდო პროცესის სრული კომპიუტერიზაცია და სასწავლო ბაზის სრულყოფა

უნივერსიტეტის ქონების ნაწილის პრივატიზებიდან შემოსული სახსრებით (რაზეც უკვე ვისაუბრეთ), ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლისთვის საგამოცდო პროცესის სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფას შევძლებთ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, ამ ეტაპზე, რეალურად, ორი ძირითადი პრობლემა გვაქვს, რაც ეხება სასწავლო ბაზასა და საგამოცდო პროცესს. საგამოცდო პროცესზე უკვე ვთქვი, რომ კომპიუტერიზებული გახდება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართული დამკვირვებლების ანაზღაურება გავზარდეთ 33 %-ით. ამ მიმართულებით წინა პერიოდში გარკვეული პრობლემები არსებობდა, მაგრამ ეს პროცესი გამოსწორდა და პრობლემა აღარ გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ საგამოცდო ინფრასტრუქტურა უფრო დიდი გახდება და კონტინგენტის განაწილების პრობლემა აღარ გვექნება, როცა ხსენებულ ტექნოლოგიებზე გადავალთ. რაც შეეხება სასწავლო ბაზას, თქვენ იცით, რომ შარშან უნივერსიტეტი lms-ზე გადავიდა და გარკვეული ტექნიკური პრობლემები გვქონდა, რაც თავდაპირველ ეტაპზე ბუნებრივია. ის პრობლემები, რაც იყო, ამ პერიოდის განმავლობაში, ძირითადად, უკვე აღმოფხვრილია. ჩვენ ერთი თვის ვადაში უზრუნველვყოფთ lms-ის განახლებული ინტერფეისის შექმნას და ჩაშვებას (საუბარია lms-ის მობილური ვერსიის გაკეთებაზეც). თუ ეს პროცესები არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ სასწავლო ბაზა ისე გაიმართოს, როგორც ეს თსუ-ს ეკადრება, მაშინ ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ ბაზის შეცვლასაც. ვიმედოვნებ, რომ ის სამუშაოები, რაც ამ მიმართულებით უკვე გაწეულია და ის პროცესები, რაც დაგეგმილია, სასწავლო ბაზას სრულყოფილს გახდის.

თსუ-ს ახალი ვებ-გვერდი ექნება

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თებერვლის თვიდან ამოქმედდება თსუ-ის ახალი ვებ-გვერდი. ძველი ვებ-გვერდი, უკვე კარგა ხანია, თანამედროვე მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებს და ამ მიმართულებით ცვლილების საფუძველზე შეიქმნა ახალი ვებ-გვერდი, რომელშიც ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების ასახვა. ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო და სრულყოფილი საიტი გამოგვივა. ასევე, ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ბანკთან, გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული და, ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს ბანკი იღებს ვალდებულებას — უზრუნველყოს მობილური აპლიკაციის შექმნა, ანუ თსუ-ს ექნება უკვე თავისი მობილური აპლიკაცია, რომლითაც ისარგებლებენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. ვიმედოვნებთ, რომ ამ აპლიკაციაზე მუშაობა მიმდინარე წელს დასრულდება.

ცვლილებები სტუდენტური პროექტების წარმოდგენისთვის

2017 წლიდან ამოქმედებულია სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რამაც საკმაოდ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა. ყოველ წელს ასეულობით ათასი ლარი იხარჯება ამ მიმართულებით და მიმდინარე წელსაც, რა თქმა უნდა, დაფინანსება გაგრძელდება. ამ კუთხით ჩვენ მცირე ცვლილებები განვახორციელეთ და შევცვალეთ ფორმები, რათა სტუდენტებისთვის უფრო გამარტივებულიყო პროექტების წარმოდგენის პროცესი. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ წლიდან წლამდე ამ პროექტების ხარისხი უმჯობესდება, რაც ძალიან გვახარებს. იმისათვის, რომ პროცესით კიდევ მეტი სტუდენტი დავაინტერესოთ, რა თქმა უნდა, გასაძლიერებელია მუშაობა, თუნდაც, საინფორმაციო კამპანიის სახით.

თანამშრომელთა წახალისების პერსპექტივები

თანამშრომლების წახალისება აუცილებელია. თანამშრომელმა დაწესებულების ხელმძღვანელობისგან უნდა იგრძნოს, რომ ზრუნავს მასზე და რაღაცით ახალისებს მას. ის, რომ უნივერსიტეტში ბოლო წლების განმავლობაში მატერიალური წახალისება აღარ ხორციელდებოდა პრემიების სახით, ეს, გარკვეულწილად, ფინანსური პრობლემებით იყო გამოწვეული და არა ხელმძღვანელობის იმ გადაწყვეტილებით, რომ თანამშრომელს არ სჭირდება პრემია. მიმდინარე წელს გარკვეული ფინანსები გამოიყო შრომის ანაზღაურების გაზრდის კუთხით. სტუდენტზე მიბმული დაფინანსების სისტემა არ გვაძლევს, ამ ეტაპზე, საშუალებას, რომ უფრო მეტად და მეტად წავახალისოთ ჩვენი თანამშრომლები, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ უმოკლეს პერიოდში დაფინანსების სისტემა შეიცვლება და ამოსუნთქვის საშუალება გვექნება. როგორც ვთქვი, მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლისთვის, რადგან მოტივირებული თანამშრომელი ძალიან ბევრ საქმეს უკეთ აკეთებს. ამიტომ, მატერიალური წახალისება, რა თქმა უნდა, კვლავ დაიწყება. მომავალ პერიოდზე ამის გარეშე არც ვსაუბრობთ. მიმდინარე წელს ეს შეუძლებელია. მომავალი წლიდან კი, ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ჩვენ პრემირების პროცესს გავაგრძელებთ, თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — შეფასებაზე დაფუძნებული სისტემის პირობებში პრემიებს ზოგი ვერ მიიღებს, ზოგი მეტს მიიღებს, ზოგი — ნაკლებს. ეს მოხდება მისი დამსახურების და შეფასებების გათვალისწინებით, თუმცა, მიმდინარე წელს ეს ნაკლებ მოსალოდნელია. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ფინანსური რესურსი მცირე პრემირების შესაძლობლობას გააჩენს, ამ პროცესს ხელს არ შევუშლით. პრემიები ცუდი არასდროს არის. როცა „საჯარო სამსახურების შესახებ“ კანონი ამოქმედდა, მასში გაჩნდა გარკვეული ჩანაწერი, რომელიც პრემიების მოცულობას ზღუდავს ან ამ პროცესს საერთოდ კრძალავს. თუმცა, ვფიქრობ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება გარკვეულმა პირმა კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, გააკეთოს იმაზე მეტი, ვიდრე რეალურად მოეთხოვებოდა, გამოირჩეოდეს დადებითი მოსწრებით — ძალიან ბევრი ფაქტორია, რისი ერთობლიობაც მოითხოვს, რომ ეს ადამიანი აუცილებლად წახალისდეს და ჩვენ ამას აუცილებლად უზრუნველვყოფთ.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევის თემას, ჩვენ ამ მიმართულებითაც ვიმუშავეთ, უკეთესი პირობები ავსახეთ სატენდერო პირობებში (ამის ხარჯზე თანხა არ გაგვიზრდია) და პაკეტიც გავაუმჯობესეთ, რათა თანამშრომლები მეტად კმაყოფილები იყვნენ.

კორპორატიული კულტურა ასამაღლებელია

ლოიალობა და კორპორატიული დამოკიდებულება ნებისმიერი დაწესებულებისათვის არის უმნიშვნელოვანესი. ისეთი რთული ორგანიზმისთვის, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, სადაც 5 000-ზე მეტი თანამშრომელი და 22 ათასი სტუდენტი მოღვაწეობს, ძალიან რთულია აქ მოღვაწე საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრა, თუმცა, ამ მხრივ, არც თუ ისე ცუდი მდგომარეობა გვაქვს. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი. მიმდინარე წელს გვაქვს გარკვეული გეგმები, თუმცა კორპორატიული კულტურა მორალის თემასაც უკავშირდება. მე ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც აქ გავიარე, 2017 წლიდან უნივერსიტეტში გავაგრძელე მუშაობაც. ახლა ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ამირჩიეს და ამ უნივერსიტეტის და, ზოგადად, ამ დაწესებულების მიმართ დიდი სიყვარული გამაჩნია. მე, პირადად, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ორგანიზმი ერთიანი გახდეს და კორპორატიული კულტურა გამძაფრდეს, რათა ისევ და ისევ იმ სიმაღლეზე ვიყოთ, რა სიმაღლეზეც წლების განმავლობაში იყო და არის უნივერსიტეტი. ჩვენ გარკვეული გეზი გვაქვს აღებული და მარტო რეგიონში პირველობით არ დავკმაყოფილდებით. გვინდა, რომ უფრო შორსაც წავიდეთ — აღმოსავლეთ ევროპას გადავწვდეთ და ამ „ბრძოლაში“ ნებისმიერი თანამშრომლის ლოიალობა და უნივერსიტეტის მიმართ სიყვარული არის მნიშვნელოვანი. ძალიან ბანალური ფრაზაა, მაგრამ ყველამ თავისი საქმე კარგად რომ აკეთოს, ამ უნივერსიტეტს მეტი არ სჭირდება, რადგან მას ისედაც დიდი ისტორია აქვს. იმედი მაქვს, რომ ერთიანი ძალებით ჩვენ შევძლებთ — უნივერსიტეტი საამაყო იყოს თაობებისთვის.

ბიოგრაფიული მონაცემები

ლაშა საღინაძე — დაიბადა 1986 წლის 22 იანვარს. 2010 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მარკეტინგის სპეციალობით (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი); მანამდე კი დაამთავრა ამავე ფაკულტეტის ბაკალავრიატი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი). 2008 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშაობდა ჯერ ფინანსური რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროს სპეციალისტად, ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს მთავარ სპეციალისტად, შემდეგ ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსად და ბოლოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად. 2017 წლიდან 2019 წლამდე გახლდათ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე. 2017 წლიდან დღემდე არის ავტორიზაციის ექსპერტი (უმაღლესი განათლების მიმართულებით). 2017-2018 წლებში იყო ადგილობრივი ექსპერტი პროფესიული განათლების დაფინანსების მიმართულებით (PEM GmbH (MCA funded project Industry-led Skills and Workforce Development Project (ISWD)); 2018-2019 წლებში გახლდათ ფინანსური ექსპერტი (PWC–GGF-ის პროექტი — საქართველოში პროფესიული განათლების სწავლების ეფექტურობის გაზრდა, სიცოცხლისუნარიანი საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) მეშვეობით); 2019 წლიდან იყო ფინანსური ექსპერტი (PWC - GE67 პროექტი — დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმების შემუშავება პროფესიული განათლების მიმართულებით); 2019 წლიდან, ასევე, იყო ფინანსური კონსულტანტი (მსოფლიო ბანკი (WB): მასწავლებლის ხარისხის გაძლიერება პროფესიული განათლების და გადამზადების მიმართულებით); 2019 წლის 26 დეკემბრიდან კი გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია

2019 წლის 19 და 20 დეკემბერს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით, სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის მონაწილენი მუშაობდნენ სხვადასხვა სექციის ფარგლებში: ინტერდისციპლინური კვლევები, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციალური მუშაობა, სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია და პოლიტიკის მეცნიერება. საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა გაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 75-მდე სტუდენტმა მიიღო. კონფერენციაზე წარდგენილი მასალების მიხედვით, გამარჯვებულად ხუთი მოხსენება დასახელდა.

სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი შიდა ქართლის მაგალითზე

ინტერდისციპლინური კვლევების სექციაში გაიმარჯვა **მაკა გოგილაშვილმა** თემით: „სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი შიდა ქართლის მაგალითზე“. კვლევის მიზანი იყო — შესწავლილიყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა სოფლის მეურნეობის სექტორში უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების მიერ მიყენებული ზარალის შესამცირებლად. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველო აგრარული რესურებით მდიდარი ქვეყანაა და მისი შემოსავლის დიდი პროცენტული წილი სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის. ეს ის დარგია, რომელსაც არსებითი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

მომხსენებლის აზრით, სოფლის მეურნეობას და სურსათის წარმოებას არ შეიძლება მეორეხარისხოვანი როლი დაეკისროს, რამდენადაც საქართველოში სიღარიბის დაძლევა ამ დარგის განვითარების გარეშე შეუძლებელია, თუმცა სკეპტიციზმი მაინც იბადება, როდესაც დგება საკითხი — თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება დარგის კრიზისიდან გამოყვანას; რამდენად რეალურია, დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში, ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ მის განვითარებაში, განსაკუთრებით, იმის ფონზე, რომ, საქართველო მიდრეკილია უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებისადმი, რომლებშიც ვლინდება 12 ბუნებრივი საშიშროება (გეოსაშიშროებები: მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი; მეტეოსაშიშროებები: სეტყვა, გრიგალური ქარი, გვალვა, ელჭექი, ნისლი, წაყინვა, ლიპყინული; ჰიდროსაშიშროებები: წყალდიდობა, წყალმოვარდნა).

მოხსენებაში ნათქვამია, რომ კატასტროფის რისკის ინდექსის მიხედვით, საქართველო მიეკუთვნება საშუალო და მაღალი რისკის მქონე ქვეყნებს. ბუნებრივი კატასტროფების დამანგრეველი შედეგები, ანუ სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალი, რომელიც ისაზღვრება დაღუპულთა რაოდენობითა და მატერიალური დანაკარგებით, ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შთანთქავს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2013). მაკა გოგილაშვილის თქმით, საჭიროა ქვეყანამ პრიორიტეტად დაისახოს იმ გზების გამოყენება, რომელიც უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალის შემცირებას მოემსახურება, რათა თავიდან ავიცილოთ სოფლების დაცლა, გაღატაკებული მოსახლეობა და დანგრეული ეკონომიკა.

თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის გაშუქება ქართულ მედიასივრცეში

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სექციაში გაიმარჯვა მოხსენებამ „თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის გაშუქება ქართულ მედიასივრცეში“, რომელიც ბაკალავრიატის სტუდენტებმა **მარიამ ფრანგიშვილმა** და **სოფიკო ტაბატაძემ** წარადგინეს.

საკონფერენციო ნაშრომი შეეხებოდა სირიელ ქურთებსა და თურქეთს შორის 2019 წლის ოქტომბრის თვეში დაწყებული კონფლიქტის გაშუქებას ქართულ მედიასივრცეში, „იმედისა“ და „მთავარი არხის“ მიხედვით. მოხსენებაში მიმოიხილეს არსებული კონფლიქტის წინაპირობები, კერძოდ, გაანალიზებული იყო თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მათ სახელმწიფოში აკრძალულ და ტერორისტულ დაჯგუფებადაა გამოცხადებული ქურთების სახალხო პარტიის სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც სირიაში ქურთების მიერ შექმნილი სახალხო თავდაცვის დანაყოფს წარმოადგენს. აღნიშნული პარტია 1984 წლიდან თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქურთების ავტონომიის შექმნისთვის იბრძვის. თურქეთის ხელისუფლება შიშობს, რომ სირიელი ქურთები, რომლებიც ცდილობენ სირიის შიგნით თავიანთი კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია შექმნან (როგორც ერაყის ქურთისტანი), იგივე ნაბიჯისკენ წაახალისებენ თურქ ქურთებს.

მომხსენებელთა აზრით, აღნიშნულ კონფლიქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც, რადგან, პირველ რიგში, თურქეთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოა, რომლის საგარეო პოლიტიკამ შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებზე გეოპოლიტიკური კუთხით.

მომხსენებლებმა საკვლევ ობიექტებად შეარჩიეს ქართულ მედიასივრცეში ორი მეტ-ნაკლებად განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე ტელევიზია, კერძოდ, „იმედი“ და „მთავარი არხი“. კვლევის დაკვირვების ობიექტი იყო ზემოხსენებული არხების საინფორმაციო გამოშვებები („ქრონიკა“ — 11სთ. 14სთ. 17სთ. 20სთ. გამოშვებები; „მთავარი“ – 12სთ. 15სთ. 18სთ. 20სთ. გამოშვებები), ასევე, კვირის შემაჯამებელი გადაცემები, როგორებიცაა „იმედის კვირა“ და „პოსტ ფაქტუმი“.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო — მიკერძოებულია თუ არა ამ კონფლიქტის გაშუქება მათი სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე. კვლევის სწორად წარმართვისთვის შემუშავდა საკვლევი კითხვები: რამდენად ინტენსიურად შუქდებოდა თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტი ზემოხსენებულ მედიასაშუალებებში? რა დრო ეთმობოდა საინფორმაციო ბადეში ამ კონფლიქტის გაშუქებას? რიგითობის მიხედვით, მერამდენე ადგილი ეკავა ახალი ამბების პროგრამაში სიუჟეტებს ამ კონფლიქტის შესახებ? რამდენად ობიექტურად იყო გაშუქებული კონფლიქტი კონკრეტულ ტელევიზიებში.

მომხსენებლებმა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით შეისწავლეს მედიანარატივი, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით კი დადგინდა ამ მედიანარატივში გამოყენებული საკვანძო სიტყვების (ინტერვენცია, ტერორიზმი, თავდასხმა, კონფლიქტი, პროვოკაცია და ა.შ.) რაოდენობა.

კვლევაში თეორიულ ჩარჩოდ მოხმობილია დენიელ ჰალინისა და პაოლო მანჩინისეული პოლარიზებულ-პლურალისტური მედიამოდელი.

დაძაბული ურთიერთობები აშშ-სა და თურქეთს შორის და მისი გავლენა საქართველოზე

საერთაშორისო ურთიერთობების სექციაში გამარჯვებულად დასახელდა **გეძა იერმაშვილი** და **ანა აბრამიძე** თემით: „დაძაბული ურთიერთობები აშშ-სა და თურქეთს შორის და მისი გავლენა საქართველოზე“.

მოხსენების შესავალ ნაწილში მიმოხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვის წინაპირობები და ნათქვამია, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია 2016 წელს, როცა აშშ-მ თურქეთს ფეთჰიულა გიულენის გადაცემაზე უარი განუცხადა. თურქეთმა იმავე წელს ამერიკელი პასტორი ენდრიუ ბენსონი სამხედრო გადატრიალების მცდელობასა და გიულენთან კავშირში დაადანაშაულა. ამას მოჰყვა ამერიკული სანქციები, რომლის შედეგადაც თურქული ლირა ისტორიულ ნიშნულამდე გაუფასურდა. თურქეთის პრეზიდენტმა ეკონომიკური ომის საპასუხოდ ახალი პარტნიორების მოძიება და ახალი ბაზრების გახსნა დააანონსა. ორი ქვეყნის ურთიერთობები ჩიხში შევიდა მაშინ, როცა სირიაში მათი ინტერესები გადაიკვეთა — ვაშინგტონი მხარს უჭერს სირიის ქურთულ დაჯგუფებებს, რომლებიც ანკარას მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეულ ქურთისტანის მუშათა პარტიას ეხმარებიან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც აშშ-თურქეთს შორის კრიზისის გაღრმავებას შეუწყო ხელი, თურქეთის მიერ რუსეთისგან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ს-400-ის შეძენა იყო.

ნაშრომში ნათქვამია, რომ ორი ქვეყნის ხისტი პოზიციები მოქმედებს საქართველოზე, ქვეყანაზე, რომლისთვისაც აშშ მთავარი სტრატეგიული, ხოლო თურქეთი — ეკონომიკური პარტნიორი და, ასევე, ერთადერთი მეზობელია, რომელთანაც სტაბილური ურთიერთობები და დემარკირებული საზღვარი აქვს. კვლევის მიზანი იყო, განეხილათ შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის დაძაბულობის გამომწვევი მთავარი მიზეზები; დადგენილიყო — თუ რა გავლენა მოახდინა ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მოვლენებმა საქართველოზე და რაში გამოიხატება ეს გავლენა.

მომხსენებელთა აზრით, აღნიშნული საკითხის მიმართ მზარდი ინტერესი რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარეობს. პირველ რიგში, საუბარია საქართველოს ორ მნიშვნელოვან პარტნიორზე, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტაბილურობა. მათი ინტერესები კი, ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაშია. აქვე აღსანიშნავია თურქეთის, როგორც მეზობელი ქვეყნისა და მნიშვნელოვანი პარტნიორის, დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით. ამასთანავე თურქეთი ერთადერთი ნატოს წევრი ქვეყანაა საქართველოს მეზობელი სახელმწიფოებიდან, თუმცა თურქეთის მიერ სირიაში წამოწყებულმა ოპერაციამ წარმოქმნა კითხვები ნატოში მის სტატუსთან მიმართებით.

ნაშრომში კვლევისთვის გამოიყენეს თვისებრივი მეთოდი, ემპირიული მეთოდი — დაკვირვება (ირიბი და გაშუალებული). ამ მეთოდების გამოყენებით პასუხი გაეცემა ნაშრომის მთავარ კითხვას, რომელიც შეეხება აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობების გავლენას საქართველოზე.

მოსკოვისა და თბილისის ჩრდილოვანი გავლენები აფხაზეთის ავტონომიურ ხელისუფლებაზე 1985-1991 წლებში და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე

რაც შეეხება მეოთხე სექციას, აქ ორმა მოხსენებამ: „თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები მთის კანონის ამოქმედების კვალდაკვალ“ (**ბაჩო ხუროშვილი** და **ელეონორა ჭანია**) და „მოსკოვისა და თბილისის ჩრდილოვანი გავლენები აფხაზეთის ავტონომიურ ხელისუფლებაზე 1985-1991 წლებში და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე“ (**ნიკა მუყასაშვილი** და **დაჩი ჩიტაია**) გაიმარჯვა.

დაჩი ჩიტაიასა და ნიკა მუყასაშვილის მოხსენებაში — „მოსკოვისა და თბილისის ჩრდილოვანი გავლენები აფხაზეთის ავტონომიურ ხელისუფლებაზე 1985-1991 წლებში და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე“ —

ყურადღება გამახვილდა დღევანდელი პოლიტიკური მეცნიერებების გამოწვევებზე, რომელიც, ძირითადად, მიმართულია ევროპაცენტრისტული თუ გლობალური საკითხების წინ წამოწევაზე, რაც, საბოლოოდ, ეროვნულ საკითხებს უკანა ფონზე სწევს. საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც მეცნიერულად მიკარგულ საკითხს წარმოადგენს, საჭიროებს განახლებას, დისკურსების გადააზრებასა და პასუხების მიღებას.

ნაშრომში ნათქვამია: „გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დაწყებიდან საბჭოთა სივრცეში არსებული მასობრივი საზოგადოება, რომელიც დათბობის ურთიერთობებში შედიოდა დასავლეთთან და უჩნდებოდა კულტურული რომანტიზმის ნიშნები, ეტრფოდა დემოკრატიას. ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი, დამოუკიდებელი აფხაზეთი კი მკვეთრად განიცდიდა საბჭოთა კავშირის დროს ცენტრისტული ძალაუფლების შედეგებს, რისი მიზანიც აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორება გახლდათ. მათ შორის, საინტერესოა არსებული თემის სამი კუთხით გაშლა. პირველი განათლებაა, რადგანაც განათლება აყალიბებს ინდივიდის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ორიენტაციებს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეტწილად დამოკიდებული იყო რუსულ ცენტრზე, რადგან აქ ასწავლიდნენ ისეთი პროფესორები, რომლებიც, ძირითადად, მოსკოვის ინტერესებს ატარებდნენ, მათ შორის, ალექსანდრ დუგინი და სხვა მრავალნი. მეორე თემა შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, სადაც თეორიულად უნდა მომხდარიყო ხალხის ხმის წარდგენა იმ სივრცეში, რომელიც არა მხოლოდ ეთნიკურად აფხაზებს, არამედ ქართველებსაც აერთიანებდა და ინტერკულტურულ სივრცეს წარმოადგენდა, სადაც ავტონომიური რესპუბლიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გამოდიოდა ხოლმე. მესამე საკითხი კი ძალოვან სტრუქტურებს შეეხება, რომლებიც იყვნენ თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის სტრუქტურები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა ცენზურის დაცვა, კონტროლის მოპოვება წესრიგზე და საზოგადოების ფიზიკური მართვა“.

კვლევაში გამოყენებულია კონტენტ ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუები კონკრეტულად იმ პირებისგან, რომლებიც უშუალოდ ჩართულები იყვნენ აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, რაც მკვლევრებს პრობლემის ობიექტურად აღქმაში დაეხმარა.

მასალა მომზადებულია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით

VIII სამეცნიერო კონფერენცია, გამარჯვებული სტუდენტები და დეკანის პრიზი

ლიანა მარქარიანი

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის VIII სამეცნიერო კონფერენციის პლენარული სესია, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ, 7 თებერვალს გაიმართა. წელს კონფერენციაზე ფაკულტეტის 8 მიმართულება იყო წარმოდგენილი. გამარჯვებულთა რიგებში არიან როგორც მაგისტრატურის, ისე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები.

ტრადიციად ქცეული კონფერენციის ფინალური და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, როგორც ყოველთვის, გამარჯვებულ სტუდენტებს ეთმობა. ამ დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა მიმართულება ერთ სივრცეში იყრის თავს. გამარჯვებულთა პროექტების პრეზენტაციასთან ერთად, თითოეულმა დეპარტამენტმა სამეცნიერო შედეგების ამსახველი პოსტერები წარმოადგინა.

„ეს კონფერენცია ფაკულტეტზე ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან მასში ყოველწლიურად, დაახლოებით, 200-250 ადამიანი მონაწილეობს. გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცემათ ფაკულტეტის დეკანის — რამაზ ხომერიკის მიერ საკუთარი ხელფასიდან გამოყოფილი ფულადი ჯილდო (8 დეპარტამენტიდან თითო გამარჯვებულს (ან გუნდს) 600 ლარი) და სიგელი. გარდა ამისა, ამ კონფერენციის ფარგლებში, დოქტორანტები აკეთებენ სამეცნიერო-კვლევით პროექტების პრეზენტაციას, რასაც კომისია აფასებს. უნდა აღვნიშნო, რომ დიდი აქტიურობაა როგორც მაგისტრანტების, ისე ბაკალავრების მხრიდან“, — ამბობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში ვაჟა ტრაპაიძე.

ღონისძიებას ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, რომელმაც გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვა და აღნიშნა: „ის, რომ ჩვენ ძალიან წარმატებული და კარგი მეცნიერები გვყავს, სადავო არ არის, მაგრამ რა იქნება ხვალ და რამდენად გავლენ ჩვენი სტუდენტები უნივერსიტეტის კედლებიდან კვლევითი ინტერესებით, ცნობისმოყვარეობით და ახალი მიზნებისაკენ სწრაფვით, ეს უკვე აკადემიურ პერსონალზე არის დამოკიდებული. გამარჯვებულ სტუდენტებს ვულოცავ ამ წარმატებას, ისინი უკვე უნივერსიტეტის ისტორიაში არიან ჩაწერილნი“.

წელს, როგორც ყოველთვის, ნაშრომები 8 სამეცნიერო დარგიდან იყო წარმოდგენილი: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკა, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ხომერიკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ფაკულტეტისთვის: „უკვე მეოთხე წელია, რაც ვუძღვები ამ კონფერენციას და მინდა გითხრათ, რომ, როგორც ყოველთვის, ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა თითოეულ დეპარტამენტში: სტუდენტების მოსმენა, მოხსენებებისა თუ ნაშრომების განხილვა და გამარჯვებულების შერჩევა“, - აღნიშნა მან.

ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თქმით, იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც კონფერენციაში მონაწილეობენ, ყოველწლიურად იზრდება. მათი უმეტესობა კონფერენციაში პირველად მონაწილეობს. დაჯილდოებისა და პრეზენტაციების შემდეგ, მათ ემოციები და კვლევების ძირითადი მიგნებები გაგვიზიარეს.

რამაზ ხომერიკი

***

მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტმა არჩილ საყევარაშვილმა აღნიშნა, რომ მან ნახევარი წლის წინ დაიწყო კვლევა, რომლის ხელმძღვანელიც პროფესორი გიორგი ჯაიანი გახლდათ: „ჩემი ნაშრომი პიოზოელექტრული დრეკადი მასალის დეფორმაციასა და რხევას ეხება. ჩვენ მათემატიკურად შევისწავლეთ სხვადასხვა ტიპის მასალა. სიახლე არის ის, რომ მსგავსი ტიპის ამონახსნი სხვებს, ასე ვთქვათ, არ გამოუყვანიათ. ჩემთვის ეს პირველი კონფერენციაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისად, პირველი გამარჯვებაც“, — გვითხრა მან.

გეოლოგიის დეპარტამენტიდან საინტერესო და მნიშვნელოვანი თემა იყო წარმოდგენილი — „საქართველოს ციფრული პალეონტოლოგიური ბაზა“. „ჩემი პროექტის ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი კახა ქოიავა გახლავთ. პროექტზე, რომელზეც ბოლო სამი თვის განმავლობაში ვმუშაობდით, არის ციფრული პალეონტოლოგიური ბაზა. ზოგადად, საქართველოში ციფრული ბაზების ნაკლებობაა, ხოლო, რაც შემორჩენილია, არის საბჭოთა პერიოდისა. დღეს გაციფრულება რთულია და ამიტომ გადავწყვიტე, რომ გამეკეთებინა მობილური ტელეფონის პროგრამა/აპლიკაცია, რომელიც საველე სამუშაოებში დაეხმარება ნებისმიერ გეოლოგს და იქნება უფრო კომფორტული და მარტივი. ჩემთვის ეს პირველი გამარჯვებაა, რადგან აქამდე ასეთი კარგი პროექტი არ მქონია. წელს გამარჯვებას ველოდი, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ინოვაციური პროექტია“, — გვითხრა გეოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა ალექსანდრე თევზაძემ.

კონფერენცია განსაკუთრებით სასიხარულო II კურსის სტუდენტის ანა ჩართოლანისთვის აღმოჩნდა, რომელმაც პირველი გამარჯვება მოიპოვა. „ჩემი კვლევა ეხებოდა მესტია-ჭალის აუზში მომხდარ გლაციალურ ღვარცოფს, რომელიც საკმაოდ ხშირად ხდება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას და ტურისტებს დიდ პრობლემას უქმნის. ბუნებრივია, ეს ძალიან აქტუალური თემაა სამეგრელოსთვისაც, რადგან წელს წყალმომარაგების სისტემაც კი დაზიანდა. ზუსტად ამიტომ, ვთვლი, რომ საზოგადოებისთვის ამის მიწოდება ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო შემთხვევა 2019 წლის 25 ივლისს მოხდა, რის შემდეგაც, ბუნებრივია, ინფრასტრუქტურა აღდგა, მაგრამ კვლავ არის ხარვეზები. ჩემი ხელმძღვანელია ასისტენტ პროფესორი გიორგი დვალაშვილი. გამიხარდა გამარჯვება, რადგან კონკურენცია დიდი იყო“, — გვიყვება გეოგრაფიის დეპარტამენტის II კურსის სტუდენტი ანა ჩართოლანი.

სტუდენტებმა კონფერენციაზე თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაც არ დაივიწყეს და ძალიან აქტუალურ პრობლემას შეეხნენ: „ამ მოხსენების ძირითადი საკითხი არის ის, თუ როგორ შევამციროთ საკრედიტო ბარათების თაღლითური ტრანზაქციები ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ალგორითმის მეშვეობით. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ერთ გავრცელებულ და ერთ ახალ მეთოდს, რომელიც თავად მოვიფიქრეთ — არსებული მეთოდებისგან შევიმუშავეთ სტრატეგია. ნაშრომში, ასევე, ვხსნით, თუ რატომ არის ეს მიდგომა უკეთესი და წარმატებული. ჩვენს კვლევას სამი ავტორი ჰყავს: ანანო თურქიაშვილი, ერეკლე შიშნიაშვილი და ლიზი მამისაშვილი. ჩვენი ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი მაგდა ცინცაძე“, — გვითხრა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის IV კურსის სტუდენტმა ანანო თურქიაშვილმა.

ოსური ზღაპრების ახალი თარგმანები

თამარ დადიანი

6 თებერვალს, ქართულ-ოსურ ურთი-ერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, თსუ-ში „ოსური ხალხური ზღაპრების“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის შემდგენელი და მთარგმნელია ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ნაირა ბეპიევი, რედაქტორი კი გახლავთ ნინო პოპიაშვილი.

ოსური ზღაპრების შეკრება და გამოქვეყნება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ჯანტემირ და გაცირ შანაევების შეკრებილი ზღაპრები პირველად 1870 წელს დაიბეჭდა თბილისში, „კავკასიის მთიელთა შესახებ ცნობების კრებულში“. ოსური ზღაპრები იბეჭდებოდა XIX საუკუნის 80-90-იანი წლების რუსულ გაზეთებშიც („Терские ведомости“, „Казбег“, „Кавказ“, „Тифлисский листок“, „Новое обозрение“ და სხვ.), რომლებიც იმ დროს გამოდიოდა თბილისსა და ვლადიკავკაზში. ოსურ ზღაპრებს ხშირად ბეჭდავდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები: „აკაკის კრებული“ (1890 წ.), „ივერია“ (1880-1890 წწ.), „დროება“ (1880 წ.), „ნობათი“ (1880 წ.). ოსური ზღაპრები ქვეყნდებოდა XX საუკუნის დასაწყისის ოსურ გაზეთებშიც.

„ქართულ ენაზე ოსური ზღაპრების რამდენიმე კრებული არსებობს. მიუხედავად ამისა, ზღაპრების ერთი ნაწილი დღემდე ქართულად არასდროს თარგმნილა. კრებულში შეტანილია ოსური ზღაპრების ახალი თარგმანები, რომლებიც სპეციალურად ამ გამოცემისთვის შესრულდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზღაპრების უმეტესობა ოსური ენიდან ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. ამით გრძელდება ის ფოლკლორულ-ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ოცდამეერთე საუკუნეშიც თვითმყოფადი სათქმელით გრძელდება.



ნაირა ბეპიევი

თითქმის ტრადიციად ვაქციეთ, რომ ოსური ზეპირსიტყვიერება ორ ენაზე გამოვცეთ — ოსურსა და ქართულ ენებზე. ამას თავისი მიზანდასახულობა აქვს: დღეს ყველაზე მეტად არის საჭირო ერთმანეთის ენაზე, ერთმანეთის კულტურულ მონაპოვარზე ერთნაირად ზრუნვა; ჩვენი ფასეულობების, ღირებულებების, ფოლკლორული საგანძურის ორივე ენაზე წარმოჩენით წიგნი ერთნაირად ძვირფასი გავხადეთ ქართველი და ოსი მკითხველისათვის, რაც თავისებურად ორივე ენის პოპულარიზაციასაც ისახავს მიზნად“, — აღნიშნა ფილოლოგიის დოქტორმა ნაირა ბეპიევმა. წიგნში წარმოდგენილი 31 ოსური ხალხური ზღაპარი ყველა მისი თარგმნილია.

ოსური ზღაპრების ილუსტრაციაზე იმუშავეს ქართველმა და ოსმა თანამედროვე მხატვრებმა: ლევან სილაგაძემ, დავით პოპიაშვილმა, მეგი თედეიშვილმა, ვადიმ ფუხათიმ, ასევე, ახალგაზრდა გერმანელმა მხატვარმა ნინა ზიგერმა.

სახალხო დიპლომატიის საუკეთესო მაგალითი უწოდა ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში საზოგადოებისთვის ძალიან კარგი საქმე კეთდება. ეს ცენტრი აქცენტებს სვამს ზუსტად იმ კუთხით, რაზეც მეტი ინტენსივობით უნდა ვი-

გვ. 15

ქრონიკა

მოკლედ

„აკადემია ევროპეას“ რეგიონული ჰაბის შემაჯამებელი ღონისძიება

ევროპული აკადემიის რეგიონულმა წარმომადგენლობამ 2019 წელს გაწეული საქმიანობა შეაჯამა. „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ჰაბი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტში 2019 წლის აპრილში გაიხსნა, კავკასიის რეგიონში მეცნიერებისა და კვლევის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

როგორც ევროპული აკადემიის რეგიონული ჰაბის აკადემიურმა დირექტორმა, პასტერის ინსტიტუტის (საფრანგეთი) პროფესორმა დავით ფრანგიშვილმა აღნიშნა, 2019 წელს პრიორიტეტი მიენიჭა საგანმანათლებლო აქტივობებს — ეს იყო სემინარების სერია და საერთაშორისო კონფერენციები. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წელს გაიმართა სამი სემინარი და, მათ შორის, ერთ-ერთ სემინარზე მოწვეული იყო წამყვანი პროფესორი იერუსალიმის უნივერსიტეტიდან, რომელიც მუშაობს აღმოსავლეთ ქრისტიანობის საკითხებზე. დავით ფრანგიშვილის თქმით, პროფესორის ჩამოსვლამ ძალიან დიდი შედეგი გამოიღო — რელიგიის ქართველი მკვლევრები ჩაერთვნენ საერთაშორისო კვლევით სივრცეში, მიწვეული არიან სხვადასხვა კონფერენციებზე და ხელი შეეწყო, ასევე, ქართული ხელნაწერების გაცვლას იმ ქვეყნებთან, სადაც აქამდე ამ ხელნაწერების გაცვლა ვერ ხდებოდა. „ამან დასაბამი მისცა ქართული მეცნიერების ჩართვას ევროპულ სივრცეში. ასევე, დასაბამი მივეცით ამ სემინარების სახით მიკრობიოლოგიურ კვლევას და ახალ მიმართულებას ქართულ მიკრობიოლოგიაში, რომელიც სწავლობს მიკრობიოლოგების მოშინაურებას“, — აღნიშნა რეგიონული ჰაბის ხელმძღვანელმა.

2020 წელს ევროპული აკადემიის საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო კონფერენციების და სემინარების სერიის ჩატარებას გეგმავს, სადაც წარმოდგენილი იქნებიან მეცნიერები როგორც რეგიონიდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ განაცხადა, საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც დაგეგმილია 2020 წელს, არის კარგი საშუალება იმისათვის, რომ სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება გადმოტანილი იყოს რეგიონზე და წარმოჩნდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონის უნიკალურობა, როგორც ერთგვარი გზაჯვარედინისა ცივილიზაციების და კულტურების დიალოგში.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციისა და ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრა

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წარმომადგენლებმა 20 ქართული უნივერსიტეტის რექტორებსა და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელებს ევროპულ უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების კვლევების შედეგები და სამომავლო გეგმები გააცნეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მრგვალ მაგიდასა და დისკუსიაზე ევროპული განათლების გამოწვევებსა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.

„შეხვედრაზე შემუშავებულ რეკომენდაციებზე შემდგომში იმსჯელებენ ევროგაერთიანებაში, სადაც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დასკვნებს სერიოზულ ანგარიშს უწევენ. კარგია, რომ დღევანდელ დისკუსიაში მაქსიმალურად ჩაერთვნენ ქართული უნივერსიტეტები“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიებაზე თსუ-ის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა გრძელიძემ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც თსუ-ში სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსპექტივაზე ისაუბრა.

„გვიხარია, რომ შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება. ჩვენი ვორქშოპი ეხება სადოქტორო სწავლებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი კვლევებისა და, საერთოდ, ახალგაზრდების განვითარებისთვის“, — აღნიშნა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა, ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს თავმჯდომარემ მარტინ რაიემ.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წლიური შეხვედრა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების ყველაზე მასშტაბური და ყოვლისმომცველი ევროპული შეკრებაა, რომელიც დოქტორანტურაში მიმდინარე ტენდენციებს და მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ თანამშრომლობას ითვალისწინებს. ეს არის ახალი პარტნიორობისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების კიდევ ერთი შესაძლებლობა.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შემაჯამებელი ღონისძიება

თსუ-ში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ფონდის მიერ 2019 წელს განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შედეგები, 2020 წლის პრიორიტეტები და გეგმები.

„ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების უმრავლესობა თსუ-ის მეცნიერების მიერ წარმოდგენილი პროექტებია“, — ამის თაობაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ისაუბრა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ფონდის საქმიანობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა: „დეტალურად ვისაუბრეთ მეცნიერების მიღწევებზე და განვითარების საკითხებზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეგა პროექტი, სადაც დიდი ყურადღება მიექცევა სამეცნიერო კვლევით პროცესს. ქართველ მეცნიერებთან ერთად სამეცნიერო-კვლევით პროცესში ჩართული იქნებიან უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები, გვექნება ერთობლივი კვლევები მედიცინაში, სამედიცინო ფიზიკაში, ბირთვულ ფიზიკაში.“

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა. „2019 წელს 32 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი დაფინანსდა როგორც სამეცნიერო კვლევების, ისე მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით. 2020 წელს ვგეგმავთ, რომ განსაკუთრებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გაყალბებული ისტორიის წინააღმდეგ სერიოზული მეცნიერული ბრძოლა ვაწარმოოთ. ასევე, ვგეგმავთ ქართველოლოგიური კვლევების გაძლიერების კუთხით, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ნაწილში მეტი პრიორიტეტი გამოვყოთ. მნიშვნელოვანია მომავალი წლიდან, რუსთაველის კაბინეტების, ქართველოლოგიური ტიპის კაბინეტების შექმნა ევროკავშირის უნივერსიტეტებში.“

2019 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის კუთხით არაერთი პროგრამა განახორციელა. მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით გამოყენებითი კვლევების ახალი საგრანტო პროგრამა CARYS გამოცხადდა. გარდა ამისა, დაწესდა რამდენიმე სახელობითი სტიპენდია, რომლის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერები სხვადასხვა სამეცნიერო

მიმართულებით უკვე გამოვლინდნენ. წელს პირველად სამეცნიერო ფონდმა საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით ახალი საგრანტო კონკურსები გამოაცხადა, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის გაყალბების მცდელობების წინააღმდეგ საქართველოს ოკუპირებული და საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში ტრადიციულად ლიდერობენ, წელს გამარჯვებული პროექტების 50% თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით.

კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი გამოიცა

„კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ პრეზენტაცია გაიმართა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს კონკურენციის სააგენტო. ღონისძიება პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნას მიეძღვნა.

პრეზენტაცია გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლექსიკონის გამოცემის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. „სწორედ ამ მიზნის მიღწევის პირველ მცდელობას წარმოადგენს განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს კონკურენციასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების ქართულ-ინგლისურ ვერსიებს და მათ განმარტებებს. განმარტებები ეყრდნობა როგორც ქართულ, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობას, კონკურენციის სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვადასხვა საერთაშორსიო ლექსიკონებს“, — ვკითხულობთ ლექსიკონის წინასიტყვაობაში. პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართეს: საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და ევროკავშირის პროექტის გუნდის ხელმძღვანელმა აურელიო ლა ტორემ. „ლექსიკონი ეძღვნება ნოდარ ხადურის ხსოვნას, რომელიც ამ ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორია. ის მომზადდა კონკურენციის სააგენტოში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა) გუნდისა და სააგენტოს თანამშრომლების ერთობლივი ძალისხმევით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ გაწეული შრომისთვის“, — განაცხადა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ და ნოდარ ხადურის ოჯახს, ყოფილი თავმჯდომარის მიერ კონკურენციის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მადლობის სიგელი გადასცა. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა ლექსიკონის შემდგენლებს: ქეთი ზუკაკიშვილს, ქეთევან ლაფაჩს, იურატე სოვიენეს, ლიანა ჯაფარიძეს და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლებს და აღნიშნა, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტო გზამკვლევი დოკუმენტების გამოცემას მომავალშიც გააგრძელებს.

ქრონიკა

მოკლედ

ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამაზე – „ტურიზმი" – სწავლა მხოლოდ თსუ-ში შესაძლებელი

კიდევ ერთი ორმაგი ხარისხის დიპლომის აღების შესაძლებლობა მიეცათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და საფრანგეთის ლუმიერ ლიონ 2 უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ერთობლივ ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას — „ტურიზმი" — საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სრული უპირობო აკრედიტაცია მიანიჭა.

სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი" პირველი აკრედიტებული პროგრამაა საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით დაარსებულ ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის ფარგლებში და კურსდამთავრებულს ანიჭებს ორმაგ ხარისხს: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან — ტურიზმის მაგისტრი, ხოლო ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტის მხრიდან — ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი.

პროგრამა ითვალისწინებს ორწლიან სწავლებას, რაც გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას 4 სემესტრის განმავლობაში. სწავლება იწარმოება ქართულ ენაზე ფრანგული ენის კომპონენტებით. პირველი სამი სემესტრი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის მიერ განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ხოლო მეოთხე სემესტრში სტუდენტები სწავლას ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში, ლუმიერ ლიონ 2 უნივერსიტეტში გააგრძელებენ, სადაც დაიცავენ სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამა ითვალისწინებს ფრანგული ენის გაძლიერებულ სწავლებასაც, რათა სტუდენტები მოემზადონ საფრანგეთის უნივერსიტეტში ერთი სემესტრით სწავლებისა და 4-5 თვიანი სტაჟირებისთვის მოქმედ ტურისტულ კომპანიაში. ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულებს ეძლევათ შესაძლებლობა — მიიღონ საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული მუშაობის ნებართვა საფრანგეთში.

სამაგისტრო პროგრამა ,,ტურიზმი" მიზნად ისახავს კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდა, მისაღები გამოცდა საგანში „ტურიზმი" და ფრანგული ენა B1.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სტუდენტთა დაფინანსებას, ფრანგული მხარე კი უზრუნველყოფს სტუდენტთა სტაჟირებას საფრანგეთში და ფრანგი პროფესორების ვიზიტს საქართველოში.

ბიზნეს და სამეცნიერო ეთიკა

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიზნესის და ახალი ტექნოლოგიების ცენტრისა (ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, 21 იანვარს, გაიმართა სემინარი და პანელური დისკუსია თემაზე — „ბიზნეს და სამეცნიერო ეთიკა".

პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: პროფესორი, განათლებისა და სოციალური პოლიტიკის ევროპული ინსტიტუტის პრეზიდენტი, საზოგადოების ტექნიკურ მეცნიერებათა ისტორიის ლაბორატორიის დირექტორი ჟან-კლოდ რუანო-ბორბალანი (CNAM-ის — ხელოვნებისა და რეწვის ეროვნული კონსერვატორია), თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ირმა გრძელიძე და GIPA-ს (Georgian Institute of Public Affairs) ასოცირებული პროფესორი თამარ ჩივაძე.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას გასუსვა ხაზი თავის გამოსვლაში პროფესორმა ჟან-კლოდ რუანო-ბორბალანიმ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ტექნოლოგიების დანერგვის დადებით და უარყოფით მხარეებზე, მის გამოწვევებსა და საფრთხეებზე. ,,გასაგებია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პროცესი უამრავი პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვს და, შესაბამისად, სწრაფად და უმტკივნეულოდაც, აღბათ, ვერ ჩაივლის. იმ ახალგაზრდებს, რომელთაც აქვთ დაინტერესება დარჩნენ სოფლებში, განავითარონ სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოიყვანონ ბოსტნეული ან, თუნდაც, ააშენონ რობოტიზირებული ფერმა, სახელმწიფომ ზურგი უნდა გაუმაგროს და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ცოდნით, განათლებითა და ფინანსებით. სწორად განხორციელებული ინვესტიცია მრავალი პრობლემის აღმოფხვრისა და წარმატებული მომავლის საწინდარია", — განაცხადა ჟან-კლოდ რუანო-ბორბალანიმ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ ოლიმპიადაში გამარჯვებულები

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა გიორგი ჯანჯალაშვილმა და ივიკო ხავთასმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ ოლიმპიადაში — „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის" — გაიმარჯვეს. ოლიმპიადა ყოველწლიურია და მას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი მართავს. 2019 წლის ფინალური ეტაპი 8 დეკემბერს გაიმართა და მასში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის (თსუ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტუდენტები მონაწილეობდნენ. გამარჯვებული სტუდენტები ამბობენ, რომ საკონსტიტუციო სამართლის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ რამდენიმე დღის განმავლობაში მოუწიათ მრავალი სტატიის, სასამართლო გადაწყვეტილების წაკითხვა, გააზრება და გამოყენება, რამაც დიდი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შესძინათ.

„ამ პროექტმა მოგვცა არნახულად დიდი გამოცდილება, შეგვძინა ისეთი საპროცესო უნარები, რომლებიც შეუძლებელია აუდიტორიაში სალექციო-სასემინარო პროცესის ფარგლებში შეიძინო. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე შესარჩევი ეტაპის შემდგომ კონკურენტუნარიანი და ძლიერი მეტოქეები გვყავდა ყველა ეტაპზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია," — განაცხადა გიორგი ჯანჯალაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ოლიმპიადის ფარგლებში, სხვადასხვა ნომინაციებშიც მოიპოვეს წარმატება: გიორგი ჯანჯალაშვილი საუკეთესო მოპასუხედ დასახელდა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრიზიორი გახდა, ივიკო ხავთასი კი იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა თავის ფავორიტად დაასახელა.

უახლოეს მომავალში გამარჯვებული სტუდენტები სტაჟირების გავლას საკონსტიტუციო სასამართლოში გეგმავენ. გიორგი ჯანჯალაშვილი სწავლის გაგრძელებას საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე აპირებს, ივიკო ხავთასი — სამართლისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე.

ოლიმპიადა — „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის" — სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ცხოველი – სამართლებრივი დაცვის ობიექტი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტისა და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, სამეცნიერო კონფერენცია — „ცხოველი, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი" — გაიმართა. ცხოველებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების სიმწირემ და ბოლო დროის ერთ-ერთმა აქტუალურმა თემამ — ცხოველებისათვის მემკვიდრეობის დატოვებამ — საზოგადოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება ცხოველის სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით, რასაც წარსული სამართლებრივი სივრცის გახსენებისა და ახალი რეგულირების დაწესების აუცილებლობისკენ მივყავართ. სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხო თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტისა და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენცია.

ცხოველის, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტის, თაობაზე მოხსენებები მოამზადეს როგორც პროფესორებმა, ისე სტუდენტებმა: კონფერენციაზე პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ ცხოველის სამართალსუბიექტობაზე ისაუბრა და მისი ნაშრომიც სწორედ რომ ცხოველის სამართალსუბიექტობის დასაბუთების ცდას შეეხებოდა. ბესარიონ ზოიძემ მომხსენებლებს, ცხოველის სამართალსუბიექტობის თვალსაზრისით, შორეული წარსულის სამართლებრივი რეგულირება გააცნო და რომაული სამართლის მიდგომებზეც ისაუბრა. პროფესორმა პაატა ტურავამ საფუძვლიანად მიმოიხილა ცხოველის, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის ობიექტის, საკითხი. ცხოველის, როგორც სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტის, თაობაზე მომხსენებელმა თემურ ცქიტიშვილმა ისაუბრა. იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ზარანდიამ კი ცხოველების სამართლებრივი სტატუსი და მორალური ფაქტორები მიმოიხილა. კონფერენციის მიმდინარეობისას მომხსენებლებმა ისაუბრეს ცხოველის ღირსების უფლების შესახებ, ცხოველის უფლებების დაცვის თაობაზე ინგლისურ-ამერიკულ სამართალში, ცხოველის სამართლებრივ მდგომარეობაზე გერმანულ კერძო სამართალში და ა.შ.

დისკუსიის ფორმატში საუბარი წარიმართა ცხოველის დაცვის მნიშვნელობასა და ცირკში ცხოველების წვრთნით წარმოშობილ საფრთხეებზე. დისკუსიამ ხელი შეუწყო მოხსენებებში წარმოდგენილი პრობლემების განხილვას და ცხოველის, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტის, მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ჩანართი მოამზადეს:
თამარ დადიანმა და ნატო ობოლაძემ

ახალი წიგნი თაროზე

ჟურნალისტური და აკადემიური მიდგომებით მიკვლეული სიახლეები ივანე ბერიტაშვილზე

ნატო ობოლაძე

თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ მეცნიერებზე პუბლიცისტური ნარკვევების სერიის გამოცემას განაგრძობს. ამჯერად, გაზეთის რედაქტორის ნინო კაკულიასა და პროფესორ მერაბ ცაგარელის ავტორობით ივანე ბერიტაშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პუბლიცისტური ნარკვევი გამოიცა. „უცნობი ისტორიები ცნობილ მეცნიერზე/ივანე ბერიტაშვილი — კიდევ ერთი ცდა“ — ასე ჰქვია ახალ წიგნს, სადაც მკითხველი ჟურნალისტისა და პროფესორის თვალით დანახულ დიდი მეცნიერის ,,პროფილს“ გაეცნობა. უნივერსიტეტის დამაარსებლებზე, ქართული სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებზე რომ კიდევ ბევრი ფაქტი არ იცის საზოგადოებამ, ამას ივანე ბერიტაშვილის შესახებ დაწერილი ახალი პუბლიცისტური ნარკვევიც ადასტურებს. წიგნში ასახულია ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობითა და აკადემიური მიდგომით მიკვლეული სიახლეები მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ივანე ბერიტაშვილზე მოსმენილი ფაქტები იმ ადამიანებისგან, რომლებიც პირადად იცნობდნენ მას და ქართველი მეცნიერის ისტორიის ცოცხალი მატარებლები არიან — მთავარია სწორად შერჩეული დრო, კითხვა და კითხვის ადრესატი.

„ჩვენი მიზანი წარსული მაგალითების დაფასება, გაცოცხლება და მომავალი თაობებისთვის ამ მაგალითების წარმოჩენის საშუალებით წარმატებული ცხოვრების გაგრძელებისთვის ხელშეწყობის ცდაა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში მობინადრე ეს კეთილი მისია ემსახურება სხვისი გამოცდილების გააზრებით სწავლებას, რათა კვლავაც განმეორდნენ, ამ შემთხვევაში, ივანე ბერიტაშვილის მსგავსი სწავლულნი, მეცნიერები...

მეცნიერის ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები ასეთია: ვინ იყო მეორე ივანე? რა ოჯახში გაიზრდა და ცხოვრობდა? რატომ ცდილობდა ბევრი მასწავლებელი ხელი გაემართა სამოსელშემოგლეჯილი, მაგრამ იშვიათად ბეჯითი ვეჯინელი მოსწავლისთვის? რატომ გაუჩნდა შემდგომში უკვე სემინარიელ ბერიტაშვილს რევოლუციური მიდრეკილებები და რატომ გაიტაცა პოლიტიკამ? როდიდან დაინტერესდა ფიზიოლოგიით? უმაღლესი განათლება სანკტ-პეტერბურგში და პირველი სერიოზული ნაბიჯები... ივანე ჯავახიშვილისგან მიწვევა და ფიზიოლოგიური სკოლის დაარსება ახლად გახსნილ უნივერსიტეტში. შემდგომ უკვე ბერიტაშვილის მიერ დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და შორს გავარდნილი მისი სახელი... ამ თემების პარალელურად წიგნში პასუხებია კითხვებზე — როგორ აუკრძალეს „ანტიპავლოვისტად“ შერაცხულ ივანე ბერიტაშვილს სამეცნიერო მოღვაწეობა. ვინ იყო ბერიტაშვილის წინააღმდეგ შეთქმულების მოთავე „შვიდკაცა“? იმსახურებდა თუ არა ნობელის პრემიას ივანე ბერიტაშვილი — რატომ და როდის დაისვა ეს საკითხი? რატომ მოექცა სრულ იზოლაციაში მეცნიერი და ვის უზიარებდა თავის გულისტკივილს? მიუხედავად იზოლაციისა, როგორ გაიცნეს მსოფლიოში განთქმულმა ფიზიოლოგებმა ივანე ბერიტაშვილი და რა შეფასებებს უძღვნიდნენ ქართველ მკვლევარს?

წიგნი, რომელიც ივანე ბერიტაშვილს ეძღვნება, მეცნიერისა და მოღვაწის უცნობ თავგადასავლებსაც და ამ თავგადასავლების მიმართ ფიზიოლოგის დამოკიდებულების თაობაზე ამბებსაც მოიცავს: რატომ არ უყვარდა სტუმრად სიარული? რა სიზმრებს ნახულობდა ხშირად და რა იმალებოდა ფიზიოლოგის ქვეცნობიერში? რა რეაქცია ჰქონდა, როცა წვერებცანცარას ეძახდნენ? რამდენად გულჩვილი იყო მეცნიერი, რომლის უკმეხობაზეც პარალელურად ბევრს საუბრობდნენ — ამ ამბების გარდა, წიგნში შესულია ივანე ბერიტაშვილის ბიოგრაფად ცნობილი პროფესორის მერაბ ცაგარელის მიერ გადმოცემით მოპოვებული თუ შეგროვებული მასალა, რომელიც მეცნიერის შესახებ მრავალფეროვან ცხოვრებისეულ ნიუანსებს შეიცავს. მაგალითად, როგორ დაუგო მახე სტალინმა ახალგაზრდობაში ივანე ბერიტაშვილს? რა თემაზე სასაუბროდ შეხვდა მეცნიერი ლავრენტი ბერიას? რა დამოკიდებულება ჰქონდა ე.წ. ცეკას დირექტორებისადმი მეცნიერს, რომელმაც საბჭოთა ეპოქის ყველა ხელმძღვანელ პირს სწორედ რომ ,,ცეკას დირექტორები“ შეარქვა.

ცნობილია, რომ ივანე ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ ვეჯინშია, სდაც მეცნიერი დაიბადა, თუმცა მისი მუზეუმი თბილისშიც იყო — მის საცხოვრებელ სახლში. წიგნში მოძებნით საგანგაშო პასუხს კითხვაზე — რატომ გაუქმდა მუზეუმი თბილისში?

როგორი ბაბუა იყო ივანე ბერიტაშვილი? — ამ აქცენტით ვამახვილებთ ყურადღებას ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილის — დავით ბერიტაშვილის მოგონებებზე,“ — აღნიშნა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ წიგნის — „უცნობი ისტორიები ცნობილ მეცნიერზე/ივანე ბერიტაშვილი — კიდევ ერთი ცდა“ — წარდგენისას.

* * *

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი მეცნიერის, მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის 135 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია 6 თებერვალს გაიმართა. ამ ღონისძიებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 102 წლის საიუბილეო კვირეული გაიხსნა.

„ჩემთვის სასიამოვნო იყო ქალბატონ ნინოსთან ერთად მუშაობა. მე შევეცადე აკადემიური ხაზი შემენარჩუნებინა, ქალბატონ ნინოს, როგორც ჟურნალისტს, ბატონი ივანე ბერიტაშვილის პიროვნული თვისებები, მისი ცხოვრებიდან სახასიათო მომენტები აინტერესებდა, რაც მან წიგნში ბრწყინვალედ წარმოაჩინა და მკითხველი ამაში თავად დარწმუნდება.

წიგნის პრეზენტაციას ესწრება ბატონი ივანეს 4 მოსწავლე — ბატონი გურამ ბექაია, ასევე, ნინელი სხირტლაძე, რომელიც, როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი, მთელი ცხოვრება ბატონ ივანესთან მუშაობდა და მას კიდევ არაერთი საინტერესო ისტორიის გახსენება შეუძლია. ასევე, აქ არიან ქალბატონი ნანა სიხარულიძე და ბატონი ომარ ახმეტელაშვილი, რომლებიც ივანე ბერიტაშვილის ასპირანტები გახლდნენ და მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ ერთად გავიხსენეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და კორიფე ივანე ბერიტაშვილი“, — განაცხადა პროფესორმა მერაბ ცაგარელმა.

წიგნის პრეზენტაციას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები — დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი გურამ ბექაია და აკადემიური წრის წარმომადგენლები.

„მნიშვნელოვანია ასეთი სახის გამოცემების არსებობა, რადგან ახალი თაობა უნდა იცნობდეს იმ დიდ ადამიანებს, რომლებმაც შექმნეს და განავითარეს პირველი ქართული უნივერსიტეტი. აუცილებელია იმის გააზრება, თუ რამდენად დიდი როლი აქვს მეცნიერებას ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და სამეცნიერო მიდგომებს განათლების მიღების ყველა საფეხურზე,“ — განაცხადა გენადი მარგველაშვილმა.

ივანე ბერიტაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ნინო ოკრიბელაშვილმა: „ქართველებს გვიყვარს აღმატებით ხარისხში წარსულზე საუბარი, თუმცა დღეს გამონაკლისი შემთხვევაა — ივანე ბერიტაშვილი რეალურად გამორჩეული პიროვნებაა, რომლემაც სწავლისადმი განსაკუთრებული ჟინით და მეცნიერული ცნობისმოყვარეობით საქართველოში ფიზიოლოგიისა და, კონკრეტულად, ნეიროფიზიოლოგიის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. მოხარული ვართ, რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, უნივერსიტეტში მომზადებული ბატონ ივანესადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციას ვმასპინძლობთ. ის არის მეცნიერი, რომელმაც საქართველოს სახელი საბჭოთა „რკინის ფარდის“ მიღმა გაიტანა და იმ პერიოდში, როდესაც დედამიწის 1/6 მსოფლიოსთვის დაფარული იყო, ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა. ამ ახალ ბიოგრაფიულ ნაშრომში კარგად არის ივანე ბერიტაშვილის პიროვნება წარმოჩენილი, ადამიანისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის გვერდით იდგა და რომელთა მოღვაწეობაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ღირსების ჩამოყალიბების კონტექსტში,“ — აღნიშნა ვიცე-რექტორმა.

* * *

წიგნი შეაფასა ივანე ბერიტაშვილის მოსწავლემ, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტმა გურამ ბექაიამ: „ივანე ბერიტაშვილი პირველი ქართველია, რომელსაც მსოფლიო ფიზიოლოგთა პატრიარქი უწოდეს 1958 წელს გამართულ მსოფლიო ფიზიოლოგთა კონგრესზე. მნიშვნელოვანია, როდესაც ასეთი სახელგანთქმული ადამიანის შესახებ ახალი წიგნი იწერება. ამ გამოცემაში სრულიად ახალი, გამოუქვეყნებელი მასალებია შესული. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონ ნინოს წვლილი, რადგან წიგნი გამართული ქართულით, კარგი ენით არის დაწერილი.“

* * *

ივანე ბერიტაშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო თსუ-სა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მეცნიერის შესახებ ერთობლივად მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებით დასრულდა. ფილმი რეჟისორმა არჩილ შუბაშვილმა და ჟურნალისტმა ბესიკ გაფრინდაშვილმა მოამზადეს. მთხრობელის როლი რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა შეითავსა. დოკუმენტური ფილმი „უნივერსიტეტის დამაარსებლების“ ციკლის ფარგლებში მომზადდა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ივანე ბერიტაშვილის ერთ-ერთმა მოსწავლემ, ფიზიოლოგიის კათედრის ყოფილმა დოცენტმა ომარ ახმეტელაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მეცნიერის ცხოვრების ამსახველი უნიკალური ფოტო-არქივის გადაცემა დააანონსა, სადაც ერთ-ერთ ფოტოზე ოქსფორდის უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო ყრილობის 1000-მდე მეცნიერია აღბეჭდილი; მათ შორის, საპატიო ადგილი, სამეცნიერო დამსახურების გამო, ივანე ბერიტაშვილს უჭირავს.

ტრადიციული სხდომა უნივერსიტეტში - „ბერიტაშვილის კითხვანი"

მიმდინარე წელს 135 წელი შეუსრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, საქართველოში ფიზიოლოგიის სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელს ივანე ბერიტაშვილს. ამ თარიღთან დაკავშირებით, 10 იანვარს, ივანე ბერიტაშვილის დაბადების დღეს, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების ინიციატივით გაიმართა ტრადიციული სხდომა — „ბერიტაშვილის კითხვანი", რომელსაც ამავე საზოგადოების პრეზიდენტი და ივანე ბერიტაშვილის მოწაფე გურამ ბექაია უძღვებოდა.

„წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის შრომების ავტორი გახლდათ ბატონი ივანე. მას არასოდეს გამოუყენებია ავტორიტეტი და სხვათა ნაშრომის გვერდით არ მიუწერია საკუთარი სახელი და გვარი, მხოლოდ ინდივიდუალურ ნაშრომებს აწერდა ხელს. იგი გახლავთ ავტორი ფუნდამენტური შრომებისა, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოიცემა. მათ შორის ერთ-ერთი წიგნი ნათარგმნია ჩინურ ენაზეც. მისი გარდაცვალებიდან აგერ უკვე 46 წელი გავიდა, ბერიტაშვილის იდეები კი დღესაც ცოცხლობს და მათ მსოფლიოს ბევრ ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ავითარებენ ახალი მიმართულებებით. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, შექმნა მთელი სკოლა და დატოვა მოწაფეები, რომლებმაც მის მემკვიდრეობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინეს", — აღნიშნა მისმა მოწაფემ გურამ ბექაიამ.

ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი სამეცნიერო ფორუმები შესანიშნავი გზაა საქართველოში მეცნიერების ფუძემდებელთა მემკვიდრეობის უკვდავსაყოფად. „ფიზიოლოგთა საზოგადოებასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამშრომლობის საინტერესო ფორმატი აქვს. უკვე მერამდენე წელიწადია, აქ იმართება „ბერიტაშვილის კითხვანი". ჩვენ უნდა დავაფასოთ დიდი წინაპრები, ის მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს მთელი ეპოქა ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე. მომავალი დგას ინტელექტზე და მეცნიერების განვითარებაზე. თუ იდეის განხორციელებაში სერიოზული შრომა და მომავალზე ფიქრი არაა ჩადებული და მას მეცნიერული საძირკველი არ ამაგრებს, ისე, თავისთავად, არანაირი სასწაული არ მოხდება. ასე მოფიქრალი ადამიანი იყო ივანე ბერიტაშვილი. თუ რამეა საერთაშორისო, ესაა მეცნიერება და, ყველაზე მაღალი დონე, რომელიც მიიღწევა ხოლმე ამ კუთხით, სწორედ ამ სკოლებზე დგას. მიხარია, რომ აუდიტორიაში ახალგაზრდებს ვხედავ, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ეს ტრადიციები, რასაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ჩაუყარეს საფუძველი", — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, გურჯაანის მერი არჩილ ყანდაშვილი და ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილი დავით ბერიტაშვილი ესწრებოდნენ, გურამ ბექაიამ გაახმიანა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, უახლოეს პერიოდში, გამსვლელი სესია მოეწყობა ვეჯინში, სადაც პატივი მიეგება ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას.

I სტუდენტური-სამეცნიერო კონფერენცია ნეირომეცნიერებებში

27 დეკემბერს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა „I სტუდენტური-სამეცნიერო კონფერენცია ნეირომეცნიერებებში", რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის 135 წლის და მის მიერ პირველი ფიზიოლოგიური ლაბორატორიის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს. კონფერენციის დასაწყისში აღინიშნა აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ღვაწლი ქართული და მსოფლიო მედიცინის წინაშე, ოფიციალურად წარადგინეს მისი სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც 2019 წლის 25 ივნისს ჩამოყალიბდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ივანე ბერიტაშვილის მოწაფეები, ასპირანტები და კოლეგები, რომლებმაც დიდი სიყვარულითა და მოწიწებით გაიხსენეს მასწავლებელი. კონფერენცია ძალიან ინფორმატიული იყო და გამოირჩეოდა სამეცნიერო სიახლეებით. კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვანი იყო: ,,მონოამინების უკუშთანთქმის ინჰიბიტორების ანტიბაქტერიული და ანტიდეპრესიული ეფექტები დეპრესიის ცხოველურ მოდელებში" (ავტორები: ნინო როგავა, ნელი მაღლაკელიძე, ხათუნა ბეჟანიშვილი); ,,დეპრესიისა და ეპილეფსიის კომორბიდულობის კვლევა ცხოველურ მოდელებში" (ავტორი: ირაკლი გოგიაშვილი); ,,მიასთენია გრავისის მკურნალობის თანამედროვე ასპექტები" (ავტორები: ანა დემურაშვილი და დავით ჯიბღაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტიდან); ,,პერიოდული განმეორების გავლენა დასწავლის ეფექტურობაზე ექსპერიმენტული და ნეირომეცნიერული ახსნა" (ავტორი: ხატია ვაჭარაძე კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი, თსუ) და სხვ.

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები გახლდნენ პროფესორები — მერაბ ბერაია, მიხეილ ოკუჯავა, ომარ ახმეტელაშვილი, ნანული დორეული, ბუციკო ჩხარტიშვილი და ნარგიზ ნაჭყებია.

კონფერენციის გამარჯვებულებს მთავარი პარტნიორი — ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი 500, 300 და 200-ლარიანი ფულად პრემიას გადასცემს.

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტულმა ბიომედიცინის ცენტრმა გამარჯვებულებს წიგნები და სიგელები გადასცა.

ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ტრადიციად იქცა ნოემბრის ბოლო კვირაში ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის ჩატარება. რიგით მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის თემა იყო — ,,აღმოსავლეთმცოდნეობის სწავლებისა და კვლევის ასწლოვანი ისტორია და დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები მსოფლიოში", შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო ლექციები წაიკითხეს საგანგებოდ მოწვეულმა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნეებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. სიმპოზიუმში მოწვეულ მეცნიერთა მოხსენებები მოიცავდა იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებისათვის, მათ შორის: აღმოსავლეთი და დასავლეთი, ისლამი და ტერორიზმი, აღმოსავლური ქრისტიანული კულტურა, ქალი მეცნიერის როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის კონტექსტში, ქალი მიგრანტი მწერლები და ა.შ.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე ორმაგი ანონიმური რეცენზირების პრინციპით შერჩეული მოხსენებები წარმოდგენილი იყო არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურის კვლევების, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებებიდან.

სიმპოზიუმის გახსნისას მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმნენ რექტორის მოადგილე, პროფესორი ნინო გვენეტაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ზვიად გაბისონია და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი. თითოეულმა მათგანმა ისაუბრა ღონისძიების მნიშვნელობასა და მასშტაბებზე, აღმოსავლეთმცოდნეობის სწავლებისა და კვლევის ტრადიციებზე, ქართველოლოგიური და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერებების ხელშეწყობის პერსპექტივებზე და, ამ მხრივ, სიმპოზიუმის როლსა და მნიშვნელობაზე.

„ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სიმპოზიუმზე წარმოდგენილია ქართველოლოგიური დარგის პრობლემები. ამ სფეროს განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე აკადემიური თვალსაზრისით. იმედი გვაქვს, რომ ამ სიმპოზიუმის მასალები დიდად წაადგება ჰუმანიტარული დარგების განვითარებას როგორც ჩვენს უნივერსიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით", — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

განსაკუთრებული პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა მეცნიერთა მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოწვეული ძირითადი მომხსენებლების ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებს. დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისლამოლოგის შტეფან ვაიდნერის წიგნების — „კურთხეულ იყვნენ უცხონი" და „მუჰამედური ცდუნებები" (მთარგმნელი ლანა მჟავია) პრეზენტაციამ და მეცნიერის საჯარო ლექციამ, რომელიც გაუცხოების მუსლიმურ და დასავლურ კონცეფციებს ეხებოდა. არანაკლებ საინტერესო იყო ლუვენის უნივერსიტეტის მკვლევრის, ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებლის თამარ პატარაიძის ლექცია — „არაბული ქრისტიანული ლიტერატურის აღმოცენება წმინდა მიწაზე და ქართული, სირიული და არაბული ქრისტიანული ლიტერატურების კავშირები V-X საუკუნეებში". დამსწრე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა სხვა ძირითადი მომხსენებლების ლექციებიც.

სიმპოზიუმის ფარგლებში მოეწყო თსუ-ის ბიბლიოთეკის რარიტეტული აღმოსავლური კოლექციის გამოფენა. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის აღმოსავლური კოლექცია 2000-მდე ერთეულს აერთიანებს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გასულ საუკუნეებში გამოცემული არაბულ, ოსმალურ, სპარსულ, კოპტურ, სირიულ და ებრაულ ენებზე შესრულებული სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის წიგნები: ყურანი, ათას ერთი ღამე, ქილილა და დამანა, დივნები, ფირდოუსის შაჰნამე, ჯალალედ-დინ რუმის რობაიები, ღაზალები, ძველი და ახალი აღთქმა, გეოგრაფიული რუკები და სხვ. გარდა ამისა, განსაკუთრებული დაინტერესება მოჰყვა სიმპოზიუმზე საგანგებოდ მოწვეული სეიედ მაჰდი რაჰიმის კალიგრაფიული ნიმუშების გამოფენასა და ვორქშოპს.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: საორგანიზაციო ჯგუფის ინიციატივითა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სიმპოზიუმის ფარგლებში დაფუძნდა ორენოვანი რეცენზირებადი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „TSU-ti" (TSU toward internationalization), რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების ინტერნაციონალიზაციას. ჟურნალის მიზანია ინტერდისციპლინური კვლევების წახალისება, აგრეთვე, ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზება და ახალგაზარდა მკვლევართა ხელშეწყობა. სამომავლოდ იგეგმება ჟურნალის ჩართვა საერთაშორისო საძიებო ბაზებში.

თსუ-ის რექტორის განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე პრესკონფერენციით გამოეხმაურა სოციალური ქსელით გამოთქმულ ბრალდებებს მის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ადგილი აქვს ციფრებით, პროცენტებით და ტერმინებით მანიპულირებას. როგორც რექტორმა აღნიშნა, „დისკრედიტაციის მცდელობა ამ თემით არ დაწყებულა. ჯერ თქვეს, რომ საერთოდ არ მაქვს დისერტაცია დაცული, შემდეგ, რომ დოქტორის დიპლომი არ იყო ნამდვილი. ხარისხის ცენტრიდან ავიღეთ დასკვნა, რომ დისერტაცია ნამდვილად არის დაცული თემაზე, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების სტრუქტურულ რეფორმებს საქართველოში და კერძო უმაღლეს განათლებას; და კიდევ, დისერტაცია არა 2003 წელს, არამედ 2005 წელს დავიცავი“, — განაცხადა რექტორმა.

მისი თქმით, სადისერტაციო ნაშრომი პლაგიატის დამდგენ პროგრამებში „Turnitin" და „Urkund" გატარდა. „პირველ შემთხვევაში დაფიქსირდა 8% დამთხვევა და თან განმარტებულია, თუ რა არის ეს დამთხვევა და მითითებულია წყაროები, ხოლო „Urkund"-მა 0%-იან დამთხვევა აჩვენა. ამ დასკვნას რამდენიმე ექსპერტი აწერს ხელს. თუ რაზე აკეთებენ აპელირებას ჩვენი ოპონენტები, როცა აფიქსირებენ 34 %-იან დამთხვევას, ვერ გეტყვით, ეს თავად მათ ჰკითხეთ“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის რექტორი განმარტავს, რომ პლაგიატი გულისხმობს დაზარალებულსაც. „ვისი უფლებები შეილახა? საუბარია პარლამენტის დადგენილებაზე, რომლის შემუშავებაზე მუშაობდა ჯგუფი ჩემი ხელმძღვანელობით. დისერტაციაში მოხსენიებულია ეს ჯგუფიც, მისი თითოეული წევრი. თუმცა, არ არის მითითებული სქოლიოში. ასეთი ვალდებულება კი არ არსებობს, რადგან პარლამენტის დადგენილების, როგორც სხვა საკანონმდებლო აქტების, სტატიაში, დისერტაციაში გამოყენებისას ეს სავალდებულო არაა. ასე რომ, ეს პლაგიატი არ არის“.

გიორგი შარვაშიძის თქმით, „არ არსებობს ადამიანი, ვისი საავტორო უფლებებიც შეილახა, თუმცა, მოვუწოდებ ყველას, ვინც თვლის, რომ მისი საავტორო უფლებებია დარღვეული და ჩაგრულად გრძნობს თავს, აუცილებლად მიმართოს სასამართლოს. შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე სწორი გამოსავალია სამართლებრივი გზა“, — აღნიშნა მან.

გიორგი შარვაშიძე ყოველივეს უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი თსუ-ის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

„უნივერსიტეტის განვითარების ქვაკუთხედი არის მისი რეპუტაცია. როცა უნივერსიტეტის რექტორს უტევ, ეს არ არის პერსონალური შეტევა. ესაა შეტევა უნივერსიტეტზე“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ პრესკონფერენციაზე. როგორც რექტორმა აღნიშნა, არ აპირებდა ბრალდებებზე პასუხის გაცემას ამ ფორმატით, თუმცა განმარტება საჭიროდ ჩათვალა, რათა სტუდენტების, პროფესურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯი არ შეილახოს.

„როდესაც უნივერსიტეტის რექტორობას ვაპირებდი, კარგად ვიცოდი, რომ მოვდიოდი პირველ უნივერსიტეტში. დარწმუნებული ვარ, რომ თსუ იქნება და დარჩება ლიდერი უნივერსიტეტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი განწყობა ექნებათ კეთილმოსურნეებს თუ მტრებს“, — აღნიშნა რექტორმა. მისივე თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატება არის შემდგარი ფაქტი ყველა იმ მაჩვენებლით, რითიც იზომება წარმატება თუ წარუმატებლობა — ეს იქნება საერთაშორისო რეიტინგები, სტუდენტების რაოდენობა, სწავლების ხარისხი, შერეული და ერთობლივი პროგრამები, საერთაშორისო აკრედიტებული პროგრამები თუ სხვა.

გიორგი შარვაშიძე მიუთითებს უნივერსიტეტის განვითარების და წარმატების მრავალ გარემოებაზე, მათ შორის, 3 წლის განმავლობაში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის 45%-ით გაზრდილ მაჩვენებელზე, უნივერსიტეტის ბიუჯეტის 40%-იან ზრდაზე, განხორციელებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

„მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, თსუ არის ჩემპიონი უნივერსიტეტი მთელ დიდ რეგიონში. ის გეზი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, არის ძალიან მტკიცე და გასაგები და ეს არის წარმატების გეზი“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თსუ-ის რექტორის ვიზიტი დუბლინში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე ირლანდიაში დუბლინის უნივერსიტეტის (UCD) პრეზიდენტსა და ქართველ სტუდენტებს შეხვდა.

ოფიციალურ შეხვედრაზე, რომელსაც UCD-ს პრეზიდენტი ენდრიუ დიკსი, UCD-ს პროფესორები და საქართველოს ელჩი ირლანდიაში გიორგი ზურაბაშვილი ესწრებოდნენ, გიორგი შარვაშიძემ თსუ-სა და დუბლინის უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე, არქეოლოგიაში საერთო საზაფხულო სკოლის ორგანიზებასა და მედიცინის მიმართულებით ერთობლივი სწავლების უზრუნველყოფაზე.

რექტორმა, ასევე, ისაუბრა თსუ-ში ახლად დაფუძნებული მოლეკულური, გენეტიკური და უჯრედული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შესახებ და ირლანდიელ კოლეგებს ცენტრის ერთობლივ კვლევებში მონაწილეობა შესთავაზა.

ქართველ სტუდენტებთან შეხვედრაზე რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მათი საქართველოში დაბრუნებისას არსებულ პერსპექტივებზე გააკეთა აქცენტი.

დუბლინში თსუ-ის რექტორის ვიზიტი ორი წლის წინ, დუბლინის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ენდრიუ დიკსის საქართველოში ვიზიტის საპასუხოდ შედგა, რომლის დროსაც UCD-ს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებთან გამართა შეხვედრები.

მოკლედ

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას ნოდარ ხადურის სახელი მიენიჭა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის ბრძანების მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას ნოდარ ხადურის სახელი მიენიჭა. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ, №112, 26/09/2005) დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს — ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას მიენიჭოს გარდაცვლილი საერო პირის, ქართველი მეცნიერის, პოლიტიკოსისა და ეკონომისტის ნოდარ ხადურის სახელი“, — აღნიშნულია ბრძანებაში.

როგორც ცნობილია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნოდარ ხადური 49 წლის ასაკში, 2019 წლის სექტემბერში გარდაიცვალა. ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი გულთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები გახდა.

ნოდარ ხადური ბოლოს კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი იყო. მანამდე კი 2012-2016 წლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა.

თსუ-ის პროფესორი პრემია „საბა"-ს გამარჯვებულია

ლიტერატურული პრემია „საბა" 2019 წლის გამარჯვებულების ვინაობა უკვე ცნობილია. მათ შორის, წლის საუკეთესო ქართული თარგმანის კატეგორიაში გამარჯვებულია თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი ნანა ტონია. თსუ-ის პროფესორმა გამარჯვება ევრიპიდეს ჰეკაბეს ქართულ ენაზე თარგმნისთვის მოიპოვა. „როდესაც ჟიურის წევრმა, თავად არაჩვეულებრივმა მთარგმნელმა ხათუნა ცხადაძემ დაიწყო ჩემი წარდგენა, ავღელდი, განსაკუთრებით სცენაზე, აქ კიდევ ერთი სიხარული მელოდა: როდესაც სამადლობელო სიტყვაში ვახსენე ძვირფასი ადამიანი, ბატონი რისმაგ გორდეზიანი, დარბაზი გულწრფელი აპლოდისმენტებით ახმიანდა. ვფიქრობ, ეს იყო არა მხოლოდ ბატონი რისმაგის მიმართ გამოჩენილი პატივისცემა, არამედ მის მიერ აღორძინებული კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის აღიარებაც“, — ამბობს ნანა ტონია.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

N 15/01-01 20/01/2020

ᲡᲡᲘᲞ-ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის

№135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014წ.), თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების — „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018წ), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 25 დეკემბრის №23/04 ერთობლივი ბრძანებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის 2020 წლის 15 იანვრის №381/27 წერილის საფუძველზე,

ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2020 წლის 23 იანვარს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 24 თებერვლიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2020 წლის 16 მარტისა.

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

საქართველოს ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“)

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 24 თებერვლიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, 9:30-დან 18:00 საათამდე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №1 (I კორპუსი) ოთახი №207;

7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ აკადემიური საბჭოს №113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“).

11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

***რექტორი* ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲨᲘᲫᲔ**

N 23/01-01 31/01/2020

ᲡᲡᲘᲞ-ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის

№135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29. 12. 2014წ), თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018წ), „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 23 იანვრის №2/04 ერთობლივი ბრძანების და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის გიორგი ღაღანიძის 2020 წლის 24 იანვრის №1072/29 წერილის საფუძველზე,

ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2020 წლის 3 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 4 მარტიდან 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2020 წლის 15 აპრილისა.

4. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

მაკროეკონომიკის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (მაკროეკონომიკის პროფილით) - 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ბ“;

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის პროფილით) - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“;

ასოცირებული პროფესორი (გლობალური ფინანსების პროფილით) - 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ბ“;

გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ორგანიზაციული ქცევა/კროსკულტურული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში პროფილით) 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ბ“;

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით); ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა /შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);

ვ) სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

6. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ აკადემიური საბჭოს 113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან;

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 4 მარტიდან 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით 9:30-დან 17:30 საათამდე, შესვენება 13:00-დან 14:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი უნივერსიტეტის ქ. 2 თსუ X კორპუსი, IV სართული, ოთახი №403;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (პერსონალის მართვის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი)“;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

***რექტორი* ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲨᲘᲫᲔ**

N 32/01-01 06/02/2020

ᲡᲡᲘᲞ-ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢ - ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 და მე-11 პუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12. 2014წ), თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018წ), სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 23 იანვრის №2/04 ერთობლივი ბრძანების, რექტორის 2020 წლის 4 თებერვლის №25/01-01 ბრძანებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის 2020 წლის 6 თებერვლის №1871/27 წერილის საფუძველზე,

ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ- პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2020 წლის 7 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 9 მარტიდან 2020 წლის 12 მარტის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2020 წლის 30 მარტისა.

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ- პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

რომანული ფილოლოგიის კათედრა (იტალიური ფილოლოგია)

ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ბ“ კატეგორია)

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა /შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);

ვ) სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამოტივაციო წერილი;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 9 მარტიდან 2020 წლის 12 მარტის ჩათვლით 9:30-დან 18:00 საათამდე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №1 (I კორპუსი) ოთახი №207;

7. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ აკადემიური საბჭოს №113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

***რექტორი* ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲨᲘᲫᲔ**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კობა ხარაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. საბედნიეროდ იგი კვლავაც მხნედ და ენერგიულად განაგრძობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ღირსეულად იღვწის ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებისათვის.

ბატონი კობა სწორედ რომ გამორჩეულია თავისი პირუთვნელობით და პირდაპირობით, სინდისიერებით და პატიოსნებით, ამავდროულად მოკრძალებითა და დიდი თავმდაბლობით... აკი, თვითონაც აღნიშნავს თავის სულ ახლახან გამოცემულ ბიოგრაფიულ ნაშრომში („წარსულის ქრონიკები"): „ბავშვობიდან ჩემი კრედო იყო პატიოსნად გამევლო ცხოვრების გზა... ვფიქრობ, ეს შევძელი, რამდენადაც არასდროს ვცდილვარ იმაზე მეტი მიმეღო, რამდენსაც ვიმსახურებდი; არასოდეს წამცდენია ხელი უკეთურებისკენ. ჩემთვის სრულიად უცხო იყო ქრთამი, ანგარება და ადამიანებისადმი უპატივცემულობა. ასე განვლე სკოლაში 11 წელი, 3 წელი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სტუდენტობის წლები და ნახევარი საუკუნე გეოგრაფიის ინსტიტუტში"...

კობა ხარაძე დაიბადა იმერეთის სოფ. ჩხარში, პატიოსნებით ცნობილ მრავალშვილიან ოჯახში. გეოგრაფიული მეცნიერების პირველსაწყის ცოდნას იგი ეზიარა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და დაამთავრა ამავე უმაღლესი სასწავლებლის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბიოლოგია-გეოგრაფიის სპეციალობით. მას შემდეგ, ნახევარ საუკუნეზე მეტია იგი მოღვაწეობს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე გაიარა ასპირანტურის სრული კურსი, თვალსაჩინო ქართველი გეოგრაფისა და დიდი მეცნიერის, პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ღირსეულად მოიპოვა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ ხნის განმავლობაში არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, დასახლებული პუნქტი, ნასოფლარი თუ ნაქალაქარი, ნაეკლესიარი თუ ბუნების ძეგლი, საკუთარი თვალით რომ არ ენახა და არ გამოეკვლია ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმია... ექსპედიციებში კვლევებთან ერთად მას ბევრი საინტერესო და უჩვეულო რამ გადახდენია თავს, რასაც ჩვეული ჟურნალისტური ოსტატობითა და მაღალი აკადემიურობით აღწერს ხსენებულ მოგონებებში.

რამდენიმე ათეული წლების საველე-საექსპედიციო კვლევებისა და მეცნიერული ანალიზის შედეგია კობა ხარაძის 500-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის, 40-ზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევა ისტორიულ გეოგრაფიაში, ტურიზმში, სამხედრო და სამედიცინო გეოგრაფიაში, ონომასტიკაში და სხვ.; ასევე, ორი საშუალო და ხუთი უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო. მან ისტორიულ გეოგრაფიაში შექმნილი მონოგრაფიებით საქართველოს რამდენიმე კუთხის შესახებ (შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფია, ზემო ქართლის ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, კახეთის ისტორიული გეოგრაფია და სხვ.), განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში.

ბატონ კობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და აქვს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. მისი ჟურნალისტური საქმიანობა ისეთივე ნაყოფიერი იყო, როგორც სამეცნიერო მოღვაწეობა. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა გამოცემათა სერიას ჰუჯაბზე, ტოპონიმიაზე, საქართველოს უნიკალური ბუნების ძეგლებზე. გარდა ამისა, მას წლების განმავლობაში, პოპულარული სახით, ხალხის სამსჯავროზე გამოჰქონდა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები, კერძოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე. მან ჯერ კიდევ 1994 წელს გამოაქვეყნა სტატია (რუსულ ენაზე) — „ოსთა საკითხი", რომელშიც დაწვრილებითაა განხილული შიდა ქართლის ამ ნაწილის ტოპონიმთა შესახებ. 2015 წელს, კვლავ ამ პრობლემაზე, გამომცემლობა „უნივერსალმა" გამოსცა კობა ხარაძის სტატია — „ოსები საქართველოში" და სხვ., რაც უდავოდ ფასდაუდებელი საუნჯეა მომავალი თაობისათვის.

მრავალმხრივი მკვლევარის ერთ-ერთი მთავარი თემაა ქართველი მოგზაურები, მის კალამს ეკუთვნის საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომი „ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი" (2003 წ.), ასევე ცალკე მონოგრაფიები რამდენიმე ქართველ მოგზაურზე, მათ შორის აღსანიშნავია: „ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში". „რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი" (1795-1827 წწ.), „სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა", „ტიმოთე გაბაშვილის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა", „ათი წელი მოგზაურობაში. იონა გედევანიშვილი". 2017 წელს ჩინეთის საელჩოს ინიციატივით დაიბეჭდა „შუა საუკუნეების ქართველი მოგზაურ-სწავლულებისა და გეოგრაფების თვალით დანახული ჩინეთი", „აბრეშუმის გზა და კავკასია" და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი კობა ხარაძის ღვაწლი ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით, როცა იგი გახლდათ საიუბილეო სამთავრობო კომისიის მდივანი და, იმავდროულად, ვახუშტის შრომების გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი, თუმცა ამ უდიდესი ქართველი მოაზროვნის მემკვიდრეობის კვლევა მან გაცილებით ადრე დაიწყო და მას შეალია თითქმის 45 წელი; მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, თბილისის არქივებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოიპოვა საინტერესო მასალები როგორც ბიოგრაფიულ საკითხებზე, ისე მისი ნაშრომების გაანალიზებასა და თითოეული დეტალის წარმოჩენაზე. ძირითადად, მისი დაუღალავი შრომითა და ხელმძღვანელობით გამოიცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია", ორი საიუბილეო სამეცნიერო კრებული: „ვახუშტი ბაგრატიონი _ გეოგრაფი", „ვახუშტი ბაგრატიონი — ისტორიკოსი და ეთნოგრაფი" და ვახუშტი ბაგრატიონის უნიკალური ატლასი. სწორედ მოუსვენარმა შრომამ და უძილო ღამეებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე, რომლის აღდგენაზე დღესაც იბრძვის ეს თითქოსდა დაუღალავი მეცნიერი და მკვლევარი.

კობა ხარაძის სამეცნიერო კვლევის ინტერესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ასევე, ტურისტულ-საექსკურსიო საკითხები, რომლის შესახებ არა ერთი სტატია მიუძღვნა ავტორმა სხვადასხვა კრებულებში, ხოლო ცალკე წიგნებად გამოიცა ტურისტულ-საექსკურსიო მეგზურები: „ჯავახეთი", „სამშვილდე", „ბოდორნა", „ხერთვისიდან ვარძიამდე", „ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები", ასევე „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო", „მარნეულის მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო" და სხვ.

აღსანიშნავია ბატონი კობას ერთგულება და განსაკუთრებული გულისხმიერება სწორედ აწ განსვენებული პედაგოგების, კოლეგებისა და მეგობრების მიმართ, რაც გამოიხატა მისი მონოგრაფიული გამოცემებით, მუზეუმების გახსნის, კონფერენციებისა და საიუბილეო საღამოების ორგანიზებით პერსონალზე. ამ მხრივ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიკოსების — თეოფანე დავითაიას, ალექსანდრე ჯავახიშვილის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ალექსანდრე ასლანიკაშვილის, პროფესორების — ლევან მარუაშვილის, ზურაბ ტატაშიძის, რომან კვერენჩხილაძის, დავით უკლებას, სპელეოლოგ არსენ ოქროჯანაშვილის და სხვათა სახელების უკვდავყოფაში.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა, შთამბეჭდავია მისი ურთიერთობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რაც დაიწყო 1977 წლიდან გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მას შემდეგ კობა ხარაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, სულ ცოტა ხნის წინ, დროის უქონლობის გამო, დაასრულა საქმიანობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც ჩვეული პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით აზიარებდა სტუდენტებს საქართველოს ისტორიული წარსულის და თანამედროვე გეოგრაფიის საინტერესო საკითხებს. ამიტომაც ღრმა ერუდიციასთან ერთად, გულისხმიერებით და საკმაო ობიექტურობით გამორჩეული ლექტორი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს სტუდენტთა შორის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კობა ხარაძის ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქ მოსვლის დღიდან არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება კონფერენცია, სიმპოზიუმი, ექსკურსია თუ ექსპედიცია, ასევე, მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ყოველწლიური თუ მიმდინარე საქმიანობა, სადაც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. რაოდენ დასაფასებელია თუნდაც ის, რომ ბატონი კობას უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით (ზოგჯერ დიდი ნერვიულობის ფასად) დაარსდა 3 მუზეუმი: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მემორიალური მუზეუმი, აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ძევერაში და აკად. თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი სოფ. ეკში. მათი იშვიათი ექსპონატები მოინახულა უცხოეთის მრავალი ქვეყნის დელეგაციამ, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი კობა დიდად შეწუხებულია და გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სხვადასხვა მიზეზით, ამ რუდუნებით შექმნილ მუზეუმსა და მის უნიკალურ კოლექციას დღეს სათანადო ყურადღება ვერ ექცევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გულთბილი და მამულიშვილური დამოკიდებულება მშობლიური ჩხარისადმი. რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, ამ პატარა, თუმცა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს დასახლებას, გამორჩეულს თავისი თვითმყოფადობით და საინტერესო ისტორიით, მან მიუძღვნა 6 წიგნი და ენციკლოპედია „ჩხარი" (2008 წ.), ამიტომაც მიმართა მას რამდენიმე წლის წინ რაიონულმა გაზეთმა „თერჯოლამ" საოცრად გულთბილი და ამაღელვებელი სიტყვებით: „ბატონი კობა გამორჩეულია. სიტყვებს არ ძალუძთ სრულად წარმოაჩინონ მისი, როგორც მოღვაწის, მოქალაქის, მამულის ერთგული მსახურის, სახე. ...მკვლევარის სახით დაუნახავს ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში თვლემდა და ამაოდ ელოდა რიგს დღის სინათლეზე წარმდგარიყო... ბატონი კობა ყველგან არის, ყველაფერს ასწრებს. დღეს რომ უსახელო უფლისციხესთან საუბრობს, ხვალ შეიძლება კრწანისის ყაყაჩოებთან ჩამუხლული ნახოთ, ან სულაც რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიაში სტუდენტებს ლექციებს უკითხავდეს... თქვენ არ იცით — რა არის დაღლა. თქვენი მოწოდებაა — მოასწროთ და თაობებს დაუტოვოთ მრავალი რამ ღირებული..." — როგორ ზუსტად ახასიათებს ბატონ კობას ეს შესანიშნავი სიტყვები, მაგრამ მაინც, რთულია საკუთარი ქვეყნისა და პროფესიისადმი პროფ. კობა ხარაძის ღვაწლისა და რუდუნების სრულად ასახვა. მას არაერთი საპატიო სიგელი და ჯილდო მიუღია თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში. 2005 წელს მეცნიერებაში დიდი ღვაწლისათვის იგი შეიყვანეს ამერიკული ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ამერიკის ენციკლოპედიაში. 2015 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით, უნივერსიტეტის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. 2017 წელს, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის 300 წლისთავთან დაკავშირებით, გადაეცა სულხან-საბა ორბელიანის მედალი და სხვ., თუმცა, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია და მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა გაცილებით მეტს იმსახურებს.

ვუერთდებით ქართველ გეოგრაფთა დიდ ჯგუფს და თსუ-ის გეოგრაფიის დეპარტამენტის კოლეგები და მეგობრები ვულოცავთ ღვაწლმოსილ გეოგრაფს და მამულიშვილს, ბატონ კობა ხარაძეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდ ხანს სიცოცხლეს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გეოგრაფიის დეპარტამენტი

| გახსენება |

ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი — თენგიზ სანაძე

თენგიზ სანაძე დაიბადა 1930 წლის 30 იანვარს თბილისში. 1948 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ვაჟთა I საშუალო სკოლა და იმავე წელს, მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ბირთვული ფიზიკის სპეციალობით. 1953 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში.

1954 წელს ნახევარი წლის განმავლობაში მუშაობდა ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის (მოსკოვი) რხევების ლაბორატორიაში მივლინებულ ასპირანტად. აკადემიკოს ალექსანდრე პროხოროვის ხელმძღვანელობით მან აითვისა ზემაღალი სიხშირეების ტექნიკა.

1954 წელს თბილისში დაბრუნების შემდეგ ააწყო ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) სპექტრომეტრი და ასევე შექმნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი დაბალტემპერატურული რეზონატორი, ლითონის კრიოსტატი თხევადი წყალბადის და თხევადი ჰელიუმის ტემპერატურაზე სამუშაოდ. მისი პირველი სამეცნიერო შრომები ეხებოდა დაბალ ტემპერატურებზე ლანთანიდების ეპრ სპექტრების შესწავლას მონოკრისტალებში. 1958 წელს თ.სანაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფიზიკის ფაკულტეტზე. შემდგომ წლებში მისი კვლევები ეხებოდა ურანისა და ლანთანიდების ეპრ სპექტრების რელაქსაციური პროცესების შესწავლას დაბალ ტემპერატურაზე. ამ კვლევებს მოჰყვა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენის აღმოჩენა, რომელსაც შემდგომ ,,დისკრეტული გაჯერება ეწოდა. ეს მოვლენა გამოწვეული იყო პარამაგნიტური ცენტრის გარემომცველი ბირთვების ზენაზი ურთიეთქმედებით. ამ მოვლენის მექანიზმის ახსნას და მის დეტალურ თეორიულ გაანალიზებას პროფ. გ. ხუციშვილთან ერთად დაეთმო მომდევნო შრომები. ამის შემდგომ გზა გაეხსნა დისკრეტული გაჯერების იმპულსურ სპექტროსკოპიას, რამაც შესაძლებელი გახადა ეპრ-ში ურთულესი ზენაზი სტრუქტურების ახსნა. ამ საკითხებზე 1971 წელს თენგიზ სანაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1972 წელს თენგიზ სანაძემ თანამშრომლებთან ერთად აღმოაჩინა რადიოსიხშირული ველის იმპულსის გავლენა დისკრეტული გაჯერების სპექტრზე — ე.წ. რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერება, რაც ელექტრონული და ბირთვული ორმაგი რეზონანსის იმპულსური ანალოგიაა, მაგრამ ინფორმატიულობით და მგრძნობიარობით სჯობნის მას. ამ მოვლენამ საფუძველი დაუდო რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერების სპექტროსკოპიის განვითარებას.

იმპულსური რადიოსპექტროსკოპიის საკითხებზე თენგიზ სანაძის ხელმძღვანელობით მრავალი ექსპერიმენტული სამეცნიერო შრომა შესრულდა. მისი მოწაფეებისა და თანამშრომლების მიერ დაცულ იქნა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

დისკრეტული გაჯერების მოვლენის აღმოჩენას და იმპულსური ეპრ სპექტროსკოპიების შექმნას საერთაშორისო აღიარება აქვს მეცნიერულ წრეებში. ბიოგრაფიული ცნობები თენგიზ სანაძის შესახებ შესულია „Marqus Who's Who" ყოველწლიურ გამოცემებში 1995 წლიდან, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) 1996 წლის გამოცემულ წიგნში „International Book of Honor", კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის გამოცემაში „2000 Outstanding People of the 20th Century". 2000 წელს ეპრ საერთაშორისო საზოგადოებამ თენგიზ სანაძეს მიანიჭა FELLOW-s ტიტული, რაც უმაღლესი შეფასებაა ეპრ სპექტროსკოპიის დარგში.

1968 წელს თენგიზ სანაძეს ბორის ბერულავასთან ერთად მიენიჭა უნივერსიტეტის პირველი პრემია, ხოლო 1970 წელს გივი ხუციშვილთან ერთად - მელიქიშვილის სახელობის პრემია. 1974 წელს თენგიზ სანაძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევ-კორესპონდენტად, ხოლო 2002 წელს აკადემიკოსად.

1966-1971 წლებში მუშაობდა ახლად შექმნილ ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ.

1973-1976 წლებში იყო ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი. 1958 წლიდან იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სწავლული მდივანი, ხოლო 1973 წლიდან – ფიზიკის დარგში სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების თავჯდომარე.

დიდია აკადემიკოს თენგიზ სანაძის დამსახურება ახალგაზდა მეცნიერების და სპეციალისტების აღზრდის საქმეში. 1961 წელს მან ჩამოაყალიბა რადიოფიზიკის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ კათედრაზე თითქმის 45 წლის განმავლობაში თენგიზ სანაძე კითხულობდა კვანტური რადიოფიზიკის კურსს რადიოფიზიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. რადიოფიზიკის კათედრაზე მისივე ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ზემაღალი სიხშირეების და კვანტური რადიოფიზიკის სასწავლო ლაბორატორიები, სადაც მრავალი თაობის სტუდენტები ეუფლებოდენ ამ დარგების ექსპერიმენტულ მეთოდებს. თენგიზ სანაძე ბოლო წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ზოგად ფიზიკაშიც პირველკურსელებისთვის. ცნობილი ექსპერიმენტატორის დიდი პადაგოგიური გამოცდილებით, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებით წარმოდგენილი სამყაროს აგებულების ამსახველი ფიზიკის კანონები დიდ ინტერესს იწვევდა სტუდენტებში.

მეცნიერთა შორის თენგიზ სანაძეს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა მოპოვებული ბრწყინვალე ექსპერიმენტატორის სახელი, რომელსაც შეეძლო მახვილგონივრული მიგნებებით რთული ტექნიკური დაბრკოლებების გადალახვა სამეცნიერო ექსპერიმენტების მაღალ დონეზე შესასრულებლად. სამწუხაროა, რომ ბატონი თენგიზის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ასეთი მაღალი დონისა და უნივერსალური შესაძლებლობების მქონე ფიზიკოსი - ექსპერიმენტატორი არავინ არის.

ბატონი თენგიზ სანაძე გამოირჩეოდა თავისი პირადული თვისებებით - ყოველგვარ ამბიციებს მოკლებული, უაღრესად კეთილშობილი, ქვეყნის დიდი პატრიოტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის დაუღალავი მებრძოლი. ბატონი თენგიზი იყო ვაჟკაცური ბუნების და მეგობრობის დამფასებელი, მუდამ მზად მყოფი დახმარებისთვის. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფიზიკოსთა მრავალი თაობის წინაშე. ბატონი თენგიზის სახელი ყოველთვის იქნება იმ დიდ მეცნიერთა შორის, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერების ისტორიაში თავისი საერთაშორისო დონის მეცნიერული მიღწევებით და პიროვნული თვისებებით.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

„შემოდგომის ლეგენდა 2019"-ის გამარჯვებულთა დაჯილდოება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2019" დაჯილდოების საღამო გაიმართა. იმპროვიზაციული ტურისთვის კონკურსის 10 მონაწილე ახალ ნაშრომებს ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე — „უჰ, მოვიდნენ გემებით" — 12 საათის განმავლობაში ქმნიდა. ათი კონკურსანტიდან ჟიურის წევრებმა სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორი შეარჩიეს, პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი — ცოტნე ავსაჯანიშვილი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდა, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს — ნინო ბუკიას და დავით კილაძეს 700 და 500 ლარი და პარტნიორის საჩუქრები გადაეცათ.

თსუ-ის რექტორის მოადგილის ნინო ოკრიბელაშვილის განცხადებით, „სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა" მნიშვნელობა ძალზე დიდია. ეს დადასტურდა იმითაც, რომ წინა წლების ყველა გამარჯვებული დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი სახეა ლიტერატურულ ასპარეზზე. 300 სტუდენტიდან მეორე ეტაპზე 10 სტუდენტი გადავიდა, რომელთა პენ მარათონში დაწერილმა ნაწარმოებებმაც ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ვულოცავ მათ და ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ წარმატებას", — აღნიშნა ნინო ოკრიბელაშვილმა.

„შემოდგომის ლეგენდა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „სილქნეტის" ერთობლივი პროექტია. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი წელს მეთერთმეტედ ჩატარდა.

10 ფინალისტის მოთხრობა სპეციალურ კრებულში დაიბეჭდა, რომელიც მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ.



ოსური ზღაპრების ახალი თარგმანები

მე-7 გვ-დან

ლაპარაკოთ. ეს არის გამოყენება იმ კავშირებისა, რაც საუკუნეების განმავლობაში გვქონდა. დარწმუნებული ვარ, ამ ზღაპრებს ბევრი მკითხველი ეყოლება", — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ოსური კულტურის პოპულარიზაციაში გაწეული ღვაწლისთვის დიდი მადლობა გადაუხადა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა ზღაპრების მთარგმნელს და შემდგენელს ნაირა ბეპიევს. როგორც მან აღნიშნა, ქალბატონი ნაირა ხმალამოღებული იბრძვის ქართველ და ოს ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად.

„ოსური ხალხური ზღაპრების" ასეთი გამოცემა ნამდვილად განსაკუთრებულია. ეს ზღაპრები ეკუთვნით ბავშვებს, ახალგაზრდებს, მოზარდებს, რომლებიც თვითონ წაიკითხავენ და გაეცნობიან იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რაც ზღაპრებშია მოთხრობილი. ოსი ხალხის მხატვრული აზროვნება, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება და კულტურული იდენტობა ყველაზე მკაფიოდ სწორედ ფოლკლორულ შემოქმედებაში გამოვლინდა", — განაცხადა წიგნის რედაქტორმა ნინო პოპიაშვილმა.

წიგნის პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა: აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა, პროფესორებმა — ხვთისო მამისიმედიშვილმა, თემურ გვიმრაძემ, ნოდარ შოშიტაშვილმა, რეჟისორმა თამარ ხიზანიშვილმა, მწერალმა მზია ხეთაგურმა, ცხინვალის I საშუალო სკოლის მასწავლებელმა თამარ ბურაშვილმა თარგმანის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ერთხმად აღნიშნეს წიგნის ავტორის — ნაირა ბეპიევის დიდი დამსახურება ოსური კულტურის, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების აღდგენისთვის ბრძოლის საქმეში.

წიგნი გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით.

პრეზენტაცია მუსიკალურად გააფორმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნართებმა" (ხელმძღვანელი: დავით ელბაქიძე).

ორი ფოტოალბავი

უნივერსიტეტის წარსულიდან

საქართველოში სტუდენტური სპორტის სათავეებთან ცნობილი მეცნიერი გიორგი ნიკოლაძე იდგა. გარდა იმისა, რომ იგი გამოჩენილი მეტალურგი და მათემატიკოსი იყო, საოცარი მონდომებით ცდილობდა ქართველ ახალგაზრდებში სპორტისა და ფიზიკური კულტურისადმი მისწრაფების გაღვივებას. მისი ინიციატივით გადაწყდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის მომზადება მყინვარწვერზე ასასვლელად. მანვე შეარჩია ახალგაზრდები, მთელი ზაფხულის განმავლობაში ავარჯიშებდა, დაჰყავდა ტურისტულ ლაშქრობებში.

პირველი სტუდენტური ალპინიადა, 1923 წ.

ექსპედიციისთვის საჭირო სახსრების შეგროვებაც გიორგი ნიკოლაძემ იკისრა, კითხულობდა ფასიან ლექციებს, რომლის შემოსავალს სტუდენტების მიერ შეგროვილ ფულს უმატებდა.

1923 წლის 28 აგვისტოს 18 ქართველმა ახალგაზრდამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა ორმა ჯგუფმა, პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა

სტუდენტური ლაშქრობა, 1937 წ.

და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით, მყინვარწვერი დალაშქრეს. ეს დღე ქართული ალპინიზმის დაბადების დღეა.

მწვერვალზე პირველად ის ჯგუფი ავიდა, რომელსაც გ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. როდესაც პირველდამლაშქვრელი ალპინისტები მყინვარწვერიდან ეშვებოდნენ, მათ გზაში ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მიმავალი ჯგუფი შეხვდა. სწორედ ეს მეორე ჯგუფია აღბეჭდილი პირველ ფოტოზე, რომელიც ალექსანდრე დიდებულიძის საოჯახო ალბომში ინახება.

გავიდა წლები, უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მრავალი მწვერვალი დაიპყრეს.

ერთ-ერთი ექსპედიციის ამსახველი ფოტო ინახება უნივერსიტეტის მუზეუმში. იგი ჯერ კიდევ 1988 წელს უნივერსიტეტს, 70 წლის საიუბილეოდ, გადასცა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, მაშინ უკვე პენსიონერმა თამარ შალამბერიძემესხმა. მან ფოტოს ვრცელი მინაწერიც დაურთო: „1937 წლის მაისში სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიური ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით, მოეწყო ალპინიადა მყინვარწვერზე. ალპინიადაში ვმონაწილეობდით მეოთხე კურსელი 28 სტუდენტი, 2 ხელმძღვანელი და 2 მეგზური. მონაწილეთა შორის ვიყავით 4 სტუდენტი ქალი. ალპინიადაში მონაწილეობისათვის მთელი თვე წარმოებდა სტუდენტთა შერჩევა აკადემიური, ფიზიკური და მორალური ნიშნების მიხედვით.

27 მაისი. ამ სანატრელ დღეს გავემგზავრეთ ყაზბეგის რაიონის ცენტრისკენ და გავიარეთ ის გზა, რომლითაც 1860-იან წლებში იმოგზაურა რუსეთიდან მომავალმა ილია ჭავჭავაძემ.

მართალია, გეოგრაფ-გეოლოგები ვიყავით, მაგრამ საქართველოს რელიეფს მხოლოდ რუკაზე მოგზაურობით ვიცნობდით. ახლა კი ვიხილეთ ქართლის ბარი, არაგვის ხეობა, კავკასიონის მთიანი მხარე, თერგი და დარიალის ცნობილი ხეობა. „მშფოთვარე“, „ღრიალა“ თერგი მართლაც რომ ხმაურით შემოგვეგება და ყაზბეგის ტურისტულ ბაზამდე მიგვაცილა. თერგისა და მყინვარწვერის ხილვამ ილიას „მგზავრის წერილები“ მოგვაგონა.

28 მაისი. დილით ადრე ორი ადგილობრივი მეგზურის თანხმლებით გავემგზავრეთ მყინვარწვერის ძირში მდებარე მეტეოროლოგიური სადგურისაკენ (4 000 მ სიმაღლე).

ტურბაზიდან მეტეოროლოგიური სადგურისაკენ მიმავალი გზა ბუნების ერთგვარი მუზეუმია. საკუთარი თვალით ვიხილეთ მცენარეთა სამყაროს ცვალებადობა სიმაღლესთან დაკავშირებით. ბუჩქნარი მრავალი სახეობის მინდვრის ყვავილებით მოქარგულმა ალპურმა მდელოებმა შეცვალა. სიხარულით ვკრეფდით მინდვრის ყვავილებს და გვირგვინებს ვიწნავდით. მალე შიშველი, უმცენარეო მინდვრები მარადიულმა თოვლის საფარმა შეცვალა.

მეტეოროლოგიური სადგურისაკენ მიმავალი, თოვლით დაფარული გზის მარჯვნივ ვიხილეთ ფრიალო მაღალ კლდეში შეთხრილი ღვთის ტაძარი, რომელსაც ილიას თქმით, „ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“. დაცული იყო ტაძარში შემავალი კარები და ჯაჭვის კიბე.

გონებაში ილიას „განდეგილი წარმოგვიდგა.

ღამე მეტეოროლოგიური სადგურის შენობაში გავათიეთ.

29 მაისი. დილით ადრე გავემგზავრეთ მყინვარწვერისკენ. ეს გზა ჩვენთვის, ახალგაზრდა ალპინისტებისათვის მეტად რთული, ძნელი სავალი იყო. მწვერვალისაკენ მიმავალი გზა ლამაზია, მაგრამ უფრო ლამაზი იყო ის გრძნობა, რაც „ამაყი და „მიუკარებელი“ მყინვარწვერის დაპყრობამ განგვაცდევინა. 29 მაისის საღამოს ყაზბეგის ტურბაზაში დავისვენეთ.

30 მაისი. დილით თბილისიდან მოგვივიდა ავტომანქანა. დირექტორის ნებართვით, უფლება გვეძლეოდა, წავსულიყავით ჩრდ. ოსეთის ასსრ ცენტრში — ქ. ორჯონიკიძეში. გავიარეთ დარიალის ვიწრო ხეობა და ჩრდილო ოსეთისკენ რელიეფის დაკავებასთან ერთად თერგმაც შეწყვიტა მისი მოუსვენარი „ღრიალი“. შთაბეჭდილებებითა და მგზავრობით დაქანცულებმა დასასვენებლად ტურბაზას მივაშურეთ.

30 მაისის საღამო. ტურბაზაში გვესტუმრა ჩრდ. ოსეთის ასსრ შ.ს.ს. თანამშრომელი, ქართველი. მან სიხარულით მოგვიკითხა და ვახშმისთვის მიგვიწვია რესტორანში. ჩვენი სტუმრობითა და ორკესტრის მხიარული ჰანგებით აღფრთოვანებული ქართველი მასპინძელი დავიწყებით ცეკვავდა და იწვევდა სტუმრებს.

31 მაისი. დილიდან ადრე ქართველმა მასპინძლმა დაგვათვალიერებინა ქ. ორჯონიკიძე და გზა დაგვილოცა თბილისისაკენ.

უნივერსიტეტი მოუთმენლად ელოდა მის შვილებს — ალპინიადის მონაწილეებს“.

ზურაბ გაიპარაშვილი
თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

ახალი უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
მზია წერეთელი,
ნინო ჩახუნაშვილი,
გიორგი ჯაიანი,
ომარ მუკბანიანი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი,
ელენე გეგეშიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).